წელიწადი მესამე | ფასი 10 კაპ. | კვირა, 1917 წ. თიბათვის 11 (23)

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ро акц. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი: [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კადრების გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ედირ. მეტი. თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 125 | ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა | № 125

თბილისის ქალაქის საბჭო

ღრმა მწუხარებით აცხადებს თავის ამხანაგის

საბჭოს წევრის და მდივნად ნამყოფის

მიხეილ ალექსანდრეს ძის

ჯაბარის

გარდაცვალებას

პანაშვიდი გადახდილ იქნება ორშაბათს, თიბათვის 12-ს, საღამოს 8 საათზე საბჭოს სხდომების დარბაზში. გამოსვენება იქნება სამშაბათს, თიბათვის 13-ს, დილის 10 საათზე მიცვალებულის ბინიდან (ჟუკოვსკის ქ. 14) ვანქის სობოროში. დასაფლავება ვერის სასაფლაოზე.

1—727—1

კვირას, თიბათვის 11-ს 1917 წ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების სასარგებლოდ ახალ კლუბის ბაღში გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა

ლატარია-ალეგრი

წმინდა შემოსავლის 10% გადაიდება ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ.

გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბოჩკა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები და სხვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

დასაწყისი დღის 3 საათზე

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 60 კ. მოწაფეთა და პატარებისათვის 35 კ.

3—726—3

თბ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

აცხადებს, რომ კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზე, ახალ კლუბის დარბაზში, დანიშნულია

წლიური საგუბერნიო კრება

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა.

კრების განსახილველია:

1) 1916 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და 2) 1917 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა (იგულისხმება, სხვათა შორის, დახმარების დანიშვნა სხვა და სხვა საზოგადო საგანმანათლებლო და საკულტურო დაწესებულებათათვის, როგორც, მაგალითად, ქართულ გიმნაზიასა და სხვა სასწავლებელთათვის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების, სასტორიო და საეთ. საზ. ქართულ სადრამო საზ. და სხვათათვის).

2—704—5

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე რაიონის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანამგრძნობთ წევრებათ ჩაწერვა ხსენებულს პარტიაში შეუძლიანთ შემდეგს ბინებზედ: მეორე უბნის ბიუროში, მამადავითის სამრევლო სკოლა თაწმინდის ქუჩა № 18, 10—12 საათამდე და საღამოთი 5—8 საათამდე, გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში—ვანო ბელიშვილთან, დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე.

6—669—5

ექიმი

მ. ი. ზარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მელიქსკის ქ. № 4. (ი.—202—)

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი ქალისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა.

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

გ. გ. მუხაძე

იღებს ხალხოსანთ ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

[illegible]

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და [illegible] სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 8.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკნის ქუჩა, № 19.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15 00.

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

## თბილისი, თიბათვის 11.

## კერენსკის მუშტი

როგორც ვიცით, მინისტრმა კერენსკიმ ფრონტიდან დაბრუნებისას ფინლანდიელებს და უკრაინელებს მუშტი მოუღერა: „რუსეთი ჯერ ისე არ დადაბუნებულა, რომ თქვენ შესაფერისად არ გაგიმასპინძლდეთო“. მის ასეთს მუქარას ერთგვარი მისტიური წინასწარმეტყველების შიში აქვს, ეს იმ წინასწარმეტყველების შიში, რომელიც შავს აჩრდილად გამოაფრინეს ერთის მხრით მომზენმა და მეორეს მხრით რორბახმა. ორივე გერმანეთის ისტორიკოსები არიან. მომზენმა რუსეთის სამეფო შეადარა პატივის ველს, საიდანაც ევროპის სახელმწიფოებმა სასუქი უნდა ჰზიდონ თავიანთ მეტროპოლიის გასანოყიერებლადო. რორბახმა კიდევ რუსეთი დაახასიათა მექანიკურად შეკოწიწებულ სახელმწიფოდ. „იშვიათია ასეთი ხელოვნური სახელმწიფო. რუსეთი წააგავს ბილიარდის პირზე გაწყობილ ბურთებს (შარებს). საკმარისია კიი (ბილიარდის ჯოხი) შემოჰკრათ, რომ ბურთები დაიფანტნონო“. ამბობდნენ იმასაც, რომ რუსეთის დაშლა მით უფრო ადვილია, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზმი პრიმიტიულს რგოლებზეა დაყრდნობილი, რომლის უვარგისი ჰახრაკები დღეს არა, ხვალე მაინც დატყდებიანო“.

ვილჰელმ-ჰინდენბურგის კიიმ დიდი ხანია შემოჰკრა რუსეთის „ბურთებს“ და რომ მათს შერყევას ჰხედავს კერენსკი, ალბად ამისი შიშით თუ მოიღერა ის მუშტები. მართლაც, მეტად დამაფიქრებელია დღევანდელი რუსეთის მდგომარეობა. ახალი დროებითი მთავრობა დამოკლეს მახვილ ქვეშა სდგას. მარტო ის როდია საშიშო, რომ ახალს მინისტრებს ქვეყნის გაძღოლის დროს ხელთ შერჩათ გაკოტრებული საფინანსო თამასუქების გასანაღდებლად, არც ისაა დიდად სავალალო, რომ გერმანეთის რკინის მუშტი საბოლოოდ არ დაშვებულა. არა! რუსეთის უდიდესი ხიფათი სწორედ შიგნითა მექანიზმის დაშლაა. კერენსკიც და ახალი მთავრობაც სწორედ ამასა ჰვაებს. და როგორც მოსალოდნელია, პოლონეთის დაბრუნების იმედი აღარ უნდა ჰქონდეს რუსეთს, ეს არც ისე გასაკვირველია, ვინაიდან ჰინდენბურგის წალის ქუსლი ჯერ კიდევ მაგრად აჭყენია მაზე და არც მოსალოდნელია მისი იქიდან ადვილად დაძვრა. ახლა ჯერი სხვებზე მიდგა. საქმე ისაა, რომ ფინლიანდიამ და უკრაინამ დაბეჯითებით მოითხოვეს თავიანთ უფლებათა აღდგენა. მიუხედავად ახალი მთავრობის მანიფესტისა ფინლიანდიისადმი, რომ ახალის რეფორმებით დააკმაყოფილებდა, ეს უკანასკნელი ეხლავე აღიმაღლებს ხმას დამოუკიდებლობისთვის. საგულისხმიერო ისაა, რომ ფინლიანდიის ჩამოშორებას მოითხოვენ არა მარტო ულტრა-პატრიოტები, არამედ სოციალისტები. თიბათვის შუა დღში დეპეშათა სააგენტომ ფრიად საგულისხმიერო ამბავი მოგვიტანა ამის შესახებ. აი ეს დეპეშაც: დასრულდა ფინლიანდიის სოციალ-დემოკრატების ყრილობა. მიღებული 1915 წ. ციმერვალდის რევოლიუციას სრულს სოლიდარობას უცხადებს და რუსეთიდან მოითხოვს ფინლიანდიის ჩამოშორებას და მის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებას“. ამ რეზოლიუციის ძალით რუსეთს უფლება აღარა აქვს ფინლიანდიაში ჯარი იყოლიოს. ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ფინლიანდიაში ამ ჟამად ორგვარი აზრი არ არსებობს, ყველა თანაბრად მოითხოვს სრულს დამოუკიდებლობას.

უკრაინაც თუ მეტი არა, ნაკლებ გამოგორებულს რგოლს არ წარმოადგენს რუსეთის მექანიზმის დაშლისათვის. როგორც დეპეშებიდან ვიცით, უკრაინელები ოდნავაც ანგარიშს არ უწევენ რუსეთის სადღეისო ლოზუნგებს. მოცდა დამფუძნებელ კრებამდე მათ ეროვნულ საკითხის გაბათილებად მიაჩნიათ, ამიტომაა, რომ სწრაფად შეადგინეს ეროვნული ლაშქარი, მოუწოდეს თავიანთ სათათბიროს—რადას, ერთი სიტყვით, უკრაინა კოლექტიურ ბათალიონად გარდაიქცა, რომელიც შევჩენკოს ბრძოლის ჰიმნებს მოიმღერის და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამზადებულა.

რუსეთის ახალი მთავრობა რომ ანგარიშს უწევს ამ მოვლენათ, ეს გასაგებიცაა და მეტად მართივიც. მართლაც და რაღა უნდა დარჩეს ძველი, უზარმაზარი სახელმწიფოდან თუ კი დაჰკარგავს ამ მხარეებს? მოგეხსენებათ, თანამედროვე სახელმწიფონი ვაჭრობა-მრეწველობაზე ამყარებენ მთელს თავიანთ ერის დოვლათს და ბედნიერებას. ამისთვის კი საჭიროა გზები. ხმელეთით გერმანეთი, მაგალითად, დაქსელილი იყო რკინის გზებით, მაგრამ სულ იხუთებოდა, რადგანაც ზღვაზე ერთი სარკმლის მეტი არ მოეპოვებოდა,—ჩრდილოეთი ზღვა. მართალია, აუწერელი ენერგია დაჰხარჯა რეინის გასასწორებლად, რომ ნაოსნობა წესიერი ყოფილიყო და ანტვერპენით ოკეანეში გაეტანათ საქონელი, მაგრამ ეს არა ჰკმაროდა. დღევანდელი ომი, სხვათა-შორის, ერთი ასეთ გასაქანის საპოვნელადაც იყო მიმართული. თუ ეს ასე იყო გერმანეთისთვის, რაღა იქნება რუსეთში, სადაც ყოველი დარგი ვაჭრობისა თუ მრეწველობისა პირვანდელ საფეხურიდან კულტურულზე არ გადასულა? აი, ამიტომ იყო, რომ რუსეთმა დიდი ყურადღება მიაქცია ფინლიანდიას, რომ აქედან ბალტიის ზღვით ოკეანეში მისვლა შესძლებოდა. მაშასადამე, თუ განხორციელდა ფინლიანდიის ოცნება, რუსეთი უნდა გამოეთხოვოს მსოფლიო ვაჭრობის ფერხულში ჩაბმას. უკრაინაც არა ნაკლებ საყურადღებოა ამ მხრივ. მისი დაკარგვა კარს უხშობს შავს ზღვაზე მისასვლელად, თუ მათ ეს პოლიტიკური სიზმრები აუცხადდათ, რუსეთი ერთხელ და სამუდამოდ გამოეთხოვება არა თუ სტამბოლის სრუტეებს, თვით შავი ზღვის ლეჩაქ-ყურის დაჭერასა.

ყველა ეს მოსალოდნელი განსაცდელი ნათლად გათვალისწინებული აქვს ახალს მთავრობას. მიტომაც გასაკვირველი არაა, რომ კერენსკი, დღევანდელი რევოლუციის მძევალი, სოციალისტურს საზღვრებს აბიჯებს და მილიუკოვებზე არა ნაკლებ იმპერიალიზმით გაჟღენთილი ემუქრება ერთსაც და მეორესაც. მას ნათლად წარმოდგენილი აქვს ტრაგიზმი განახლებული რუსეთისა, რომელიც ბრძოლის ველზე გადამტყდარ მახვილზე საკუთარს გულსაც წამოაცმევს. კერენსკის მუშტი ბილიარდის პირის დასაჭერადაა დამზადებული, რომ ბურთები არ დაიშალონ. შესძლებს თუ არა მტკიცედ მის დაკავებას, აი საკითხი, რომელიც შიშველი სახით წარმომდგარა რუსეთის წინაშე...

## ავტონომია და ფედერალიზმი

(დასასრული. იხ. „საქარ.“ № 124)

ჩვენ ვიცით, რომ რუსეთში მოსახლე ყველა ეროვნებათა სურვილს არ შეიცავს ფედერატიული ხასიათის მართვა-გამგეობის დამყარება. მათში ყველაზე უფრო კულტურულ და პოლიტიკურად დაწინაურებულ ერის—პოლონეთის ეროვნული მისწრაფებანი, დღეს-დღეობით ყველასათვის აშკარა შეიქნა.

პოლონეთს ჰსურს თავის დანაწილებულ მიწა-წყლის შეკრება და ერთი მთლიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნა.

ფინლიანდია კმაყოფილია თავის ეხლანდელი მდგომარეობით.

ლიტველები, ესტები და ლატიშები მხოლოდ საკუთარი, ავტონომიური მართვა-გამგეობის მოთხოვნით კმაყოფილდებიან.

რუსეთის სახალმწიფოს საზღვრებში მოსახლეობენ აგრეთვე მრავალი, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარების მხრივ ერთობ დაბალ საფეხურზე მდგომი ტომები და ეროვნებანი: ჩერემისები, მარდვა, ჩუვაშები, ზირიანები, ფოგულები, ვოტელები, პერმიაკელები, სამოედები, ბაშკირები, კირგიზები, კალმიკები, ნოგაელები, მოლდავანები და სხვა; კავკასიაში კი: ჩერქეზები, კაბარდოელები, ჩაჩნები, ოსები, ლეკები, თათრები, ქურთები, კუმიკები და სხვა, რომელნიც, როგორც ყოველნაირათ ჩამორჩენილნი და ნახევრად ველური საზოგადოებრივი ერთეულნი, მოკლებულნი არიან ტომობრივ და ეროვნულ თვითშეგნებას და არავითარი კულტურულ-პოლიტიკური მისწრაფებანი მათ არ მოეპოებათ.

ყველა ზემო ჩამოთვლილი ხალხი უცხო სახელმწიფოს აფარებდენ თავს, რადგან თვით ვერ შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა.

ყველა ეს განუვითარებელი და საკუთარ პოლიტიკურ ეროვნების შექმნის უნარს მოკლებული ხალხი, ყოველ ეჭვს გარეშეა, უნდა განაწილდენ და შევიდენ რუსეთში მცხოვრებ, სხვა და კულტურულათ განვითარებულ და პოლიტიკურათ მომზადებულ ეროვნებათა ფარგლებში. ხოლო ეს, რასაკვირველია, უნდა მოხდეს, სრულიად ბუნებრივად, მათი თავისუფალი ნება-სურვილის თანახმად და არა ძალ-დატანებით.

საქართველო ისტორიულად კავკასიის გული იყო. მის პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას კავკასიის და წინა აზიის ერები და ტომები ემორჩილებოდენ.

ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ხოლო ლეკები, ჩაჩნები და კავკასიის დანარჩენი მთის ხალხი ხშირად ჩვენ ძლიერი სამეფოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდენ.

ჩვენი სახელოვან წინაპართა მიერ დათესილი მადლი დღეს სავსებით არ გამქრალა და აღმოფხვრილა. ქართველი ერის ღვაწლი და ამაგი, მისი სამსახური და მეგობრული განწყობილება კავკასიის ხალხთან არ არის ყველასაგან დავიწყებული. ამით აიხსნება კავკასიის ზოგიერთ ხალხთა ახლა-ხან ჩვენდამი გამოცხადებული თანაგრძნობა და სურვილი ჩვენთან დაახლოვებისა და დაკავშირებისა, რამაც სრულიად ბუნებრივათ, სტიქიურათ იჩინა თავი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კავკასიის ის ხალხი, რომელიც, როგორც წარსულში, ეხლაც თავიანთ ბედს საქართველოს დაუკავშირებენ და ამ უკანასკნელის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩაებმიან, მოგებული დარჩებიან.

უეჭველია, რომ ავტონომიურათ მოწყობილ საქართველოში მათ მიეცემათ საშუალება თავისუფლათ გაშალონ ფრთები: გაძლიერდენ ნივთიერათ, ამაღლდენ და გალონიერდენ ზნეობრივათ და კულტურულათ.

ამის თავდები, წარსულში, ჩვენი მათდამი ძმური და მეგობრული განწყობილებაა და დღეს-კი ქართველი ხალხის მაღალი და ჰუმანიური მისწრაფებანი გახლავთ, რაიცა საზოგადო და საერთაშორისო საქმის გულისათვის საკუთარი, პირადი ინტერესების დავიწყებამდიც-კი მიდის.

დღეს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკას უმთავრესათ ეროვნული მიმართულების სოციალისტური პარტიები თხოულობენ. ჩვენ ქართველებს პირველათ ყოვლისა, ჩვენი საკუთარი ბედ-იღბალი გვაინტერესებს.

როგორც სოციალური აგრეთვე პოლიტიკური უტოპიზმი ჩვენთვის მიუღებელი და მავნებელია. ჩვენ მივისწრაფვით დაკარგულ პოლიტიკურ უფლების აღდგენისაკენ. გვსურს ჩვენ მრავალ-ტანჯულ ხალხს მოუპოვოთ თავისუფლება: სრული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა.

დღეს ჩვენ საქმე გვაქვს რუსეთის სახელმწიფოსთან, რომელსაც ჩვენ მივანდეთ ჩვენი ბედი, მაგრამ მოტყუებულ და იმედ-გაცრუებული დავრჩით.

ეხლანდელ პირობებში ჩვენი უახლოესი ეროვნულ-პოლიტიკური მიზანია საქართველოს წართმეულ უფლებების დაბრუნება: 1783 წელს ჩვენსა და რუსებს შორის დადებულ ხელშეკრულობის აღდგენა, რომლის ძალით რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ საქართველოს, შინაური მართვა გამგეობის საქმეში, სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა ჰქონოდა მინიჭებული.

მოკლეთ, საქართველოს პოლიტიკური ავტონომია (თავის ისტორიულ საზღვრებში), ხალხის მართვა-გამგეობის უზენაესობაზე დამყარებული, შეიცავს ჩვენი დღევანდელი მისწრაფების უმთავრეს საგანს.

ავტონომიური საქართველოს მიწა-წყალს უნდა შეიცავდეს: თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის მხარე, სოხუმის, ზაქათლის, არტაანის და ოლთისის ოლქები, სოჩის ოლქის ნაწილი და ახლათ დაპყრობილი ოსმალეთის საქართველოს პირი, თორთუმი და ლაზისტანი.

ამ მიწა-წყლის არც ერთი გოჯის დათმობა არ შეუძლია ქართველ ხალხს, რადგან იგი მის წინაპართა სისხლით არის გაპოხიერებული, მათი დაუღალავი შრომისა და გარჯის ბუდე აზის, მისი დიადი ისტორიული ცხოვრების და საეროვნო მოქმედების ასპარეზი გახლავსთ.

სხვისთვის ეს მიწა-წყალი მარტოოდენ ცხოვრების საშვალებაა, შემოსავლის წყაროა. ჩვენთვის კი მას აქვს ფასი თავისთავათ, რადგან იგი ქართველი ერის ისტორიული თავგადასავლის მოწამე და მაჩვენებელია. მასთან ჩვენ ეროვნული სული გვაკავშირებს.

ავტონომიურ საქართველოს კომპეტენციას უნდა შეადგენდეს მთელი ჩვენი შინაური ცხოვრების მოწესრიგება: სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონების გამოცემა, საკუთარი ადმინისტრაციის და ჯარის გამგებლობა, მიმოსვლის, სწავლა-განათლების, ფოსტის და სასამართლოს გაძღოლა, საბაჟო და სავაჭრო პოლიტიკის წარმოება და სხვა.

ომის და ზავის საკითხი, საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა და საერთო ბიუჯეტის საქმე რუსეთის ხელში უნდა დარჩესო.

რა გზით შეიძლება საქართველოს ავტონომიის მოპოება?

პირველად ყოვლისა ჩვენ გარეშე ძალის დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს. რუსეთის დემოკრატია ჩვენ არაფერს მოგვცემს. თუ ჩვენ არ მოვითხოვეთ და საკმაო ნების-ყოფა არ გამოვიჩინეთ.

აუცილებლად საჭიროა ჩვენში მომქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიების და საზოგადოებრივი ჯგუფების, ერთი სიტყვით, მთელი ქართველობის ერთი აზრით და გრძნობით გამსჭვალვა, შეკავშირება, საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიის მოთხოვნის ნიადაგზე. თუ ეს ასე მოხდა საქართველოს დაკარგულ პოლიტიკურ უფლების აღდგენის საქმეს ვეღარაფერი ვეღარ გადაეღობება წინ და ჩვენი დაბეჩავებული და მრავალ-ტანჯული ქვეყანა აუცილებლად განთავისუფლდება მონობის უღლისაგან.

ა. თორაძე.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 9. **დასავლეთისა და რუმინეთის ფრონტებზე** ჩვეულებრივი სროლა და მფრინავთა თარეშია.

**კავკასიის ფრონტი.** კიალკიტის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა რაზმებმა იერიში მიიტანეს მტრის პოზიციებზე აიმურის ჩრდილო მაღლობებში. სერდეშტის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა მცირედი ბრძოლის შემდეგ დაიპყრო გარდასავალი და წინ იწევს.

**მფრინავთა მოქმედება.** ჰაეროპლანთა სადგომში ბრძოლიდან დაბრუნებისას ჩამოვარდა და დაიღუპა გულადი მფრინავი კაპიტანი კრუტენი. კაპიტანმა კრუტენმა ავსტრო-გერმანელ მფრინავებთან აუარებელ ბრძოლებში დაჰღუპა მტრის 6 ჰაეროპლანი.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** თიბათვის 8. **საღამოს ოფიციალი.** ნოკსელერის აღმოსავლეთით ჩვენთვის სახეიროთა გრძელდებოდა ბრძოლა. მუაზის ფერმის რაიონში ჩვენმა კონტრ-იერიშებმა ნაყოფიერად ჩაიარეს; ჩვენ ხელახლა დავიპყარით დაკარგული პოზიციები გარდა ფერმის ჩრდილო პოზიციებისა. იურტებიზისა და კრანს შუა მტერი ჩვენს მოწინავე პოზიციებს ყუმბარას უშენდა. შამპანში, კორნილიეს მთის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა შესამჩნევად შეასრულა თავისი ოპერაცია. გერმანელების ცდამ უკან დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები უნაყოფოდ ჩაიარა. ჩვენმა გრენადერებმა მოიგერიეს მტრის იერიში, უკან დაახევინეს და დაიპყრეს მათი თხრილების ერთი ნაწილი. ჩვენ 300 მეტრით წინ წავიწიეთ.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი.** თიბათვის 8. **ოფიციალი.** ბრიტანელმა მფრინავებმა ყუმბარები ჩააგდეს მტრის ზურგის სიმაგრეებსა და თხრილებში, ბოგანცა და ვეტრინეში. მთელს ფრონტზედ საარტილერიო ბრძოლაა.

**ბელგიის ბანაკის ცნობა**

**ჰავრი.** თიბათვის 8. **ოფიციალი.** მთელს ფრონტზედ უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლაა და ზოგიერთ ადგილში ბრძოლა ხელის ყუმბარების ხმარებით.

**იტალიის ბანაკის ცნობა**

**რომი.** თიბათვის 9. **ოფიციალი.** გუშინ საღამოს ვალკასტენასთან, ამბოცანოს უბანში ჩვენ ავაფეთქეთ გერმანელთა ნაღმი პიკალო ლაგატუიოს მთის ძირში და გავანადგურეთ თხრილები და მეციხოვნე ჯარი. აფეთქებისათანავე ჩვენმა ალპიელმა მსროლელებმა დაიპყრეს მაღლობი „2669“. იულიის ალპების ფრონტზედ მოვიგერიეთ მტრის იერიში ვოდიჩესა და ჯამიანოს სამხრეთ-დასავლეთით.

**თეთრ ბილეთიანები**

**პეტროგრადი.** თიბათვის 6. სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ თეთრ-ბილეთიანების ჯარში გაწვევის ბრძანება გამოსცა. ვინც სამხედრო უფროსთა შესაკრებელ პუნქტებში ჯარში ჩასარიცხავად თიბათვის 15-დის არ გამოცხადდება, ის დეზერტირად ჩაითვლება.

**გერმანელები სამხრეთ ფლანდრიასა სცლიან.**

**კოპენჰაგენი.** თიბათვის 8. ამსტერდამიდგან იუწყებიან, რომ გერმანელები სამხრეთ ფლანდრიასა სცლიანო.

**ჰაერში ბატონობის სურვილი.**

**ნიუ-იორკი.** თიბათვის 7. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ ამერიკამ მოკავშირეებს ჰაერში ბატონობა უნდა მოუპოვოსო. მთავრობას ავიაციის გაძლიერება ჰსურსო.

**პროტესტი გრიმმისა და გოფმანის მოქმედებაზე.**

**პარიზი.** თიბათვის 7. ჟენევიდან გვატყობინებენ: მრავალრიცხოვანი მიტინგი პროტესტს უცხადებს გრიმმისა და გოფმანის მოქმედებას. ავსტრიის კონსულის სამყოფს ბრბომ ქვა დაუშინა და მინები ჩალეწა. გერმანეთის საკონსულომდე ბრბომ ვერ მიაღწია.

**სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო.**

**სტოკჰოლმი** თიბათვის 8. გერმანეთის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების დელეგატები ხვალ მოვლენ სტოკჰოლმში.

**მოსალოდნელი მოუსავლობა გერმანეთში.**

**ქრისტიანია.** თიბათვის 8. გაზეთები იტყობინებიან, რომ გერმანეთში მოსავალს ცუდი პირი უჩანს; მინდვრები ცუდათ არის დამუშავებული, სიცივემა და გვალვამ ცუდი კვალი დასტოვაო.

**იაპონია და ზავის საკითხი.**

**ტოკიო.** თიბათვის 8. იმ ცნობას, ვითომც გერმანელებმა რუსეთს სეპარატიული ზავის წინადადება მისცესო, პრესა იმის დასამტკიცებლად ჰხსნის, რომ გერმანეთი კრიზისს განიცდისო. გაზეთები ამბობენ, რომ რუსეთში ბევრნი არიან სეპარატიული ზავის წინააღმდეგნიო და თუ მაინცა და მაინც სეპარატიული ზავი განხორციელდა, მაშინ რუსეთის ამგვარს მოქმედებას მოკავშირენი თავის წინააღმდეგათ ჩასთვლიანო.

**წყალქვეშათა თარეში.**

**სევასტოპოლი.** თიბათვის 8. ჩვენმა წყალქვეშამ ანატოლიის სანაპიროებთან დაჰღუპა იალქნიან გემთა ქარავანი, რომელსაც სამხედრო სურსათი მიჰქონდა.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ეკლესიის და სახელმწიფოს განყოფის წინადადება.**

**მოსკოვი.** თიბათვის 8. [illegible]

**მიწის კერძო მესაკუთრეთა წარმომადგენლების ყრილობა.**

[illegible]

**სევასტოპოლი.** თიბათვის 7. [illegible]

**მოსალოდნელი გამოსვლები.**

**ტაგანროგი.** თიბათვის 7. [illegible]

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა**

[illegible]

**პეტროგრადი.** თიბათვის 7. [illegible]

რობასა სჭირდებოდა. ახალ მთავრობას, რომელიც გართული იყო უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურს კითხვებში, ძირს დასცა რა ასე მსწრაფლად ძველი პოლიტიკური რეჟიმი, არ შეეძლო აგრეთვე ასევე ჩქარა შეეცვალა საფინანსო პოლიტიკა და თითქმის არავითარი ყურადღება არ მიექცია მეურნეობისათვისაო. აქამდე დროებით მთავრობას მხოლოდ ერთი საშუალება აქვს შეიძინოს საჭირო ფულის ნიშნები და ეს არის დაზგა სახელმწიფო ქაღალდების მომზადების ექსპედიციისა. დროებითი მთავრობის საქმე საფინანსო სფეროში, უპირველეს ყოვლისა ახალი გადასახადების შემოღება და ძველთა გაღრმავება იყო. ფინანსთა მინისტრმა წარადგინა ახალი პროექტი შემოსავლის დაგვარ გადასახადის ერთიორად გადიდებისა. მაგრამ დროებითმა მთავრობამ ეს კანონპროექტი უკან დააბრუნა გადასამუშავებლად და საცხოვრებელ მინიმუმის გასადიდებლათ. მომზადებულია ძირითადი რეფორმა მემკვიდრეობაზე გადასახადისა, და სხვა გადასახადების შემოღება, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო ხაზინის შესავსებ წყაროთ რჩება ისევ ის დაზგა, სახიფათო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სისტემისათვის. ქაღალდის ფულის გამოშვება ამიერიდგან შეუძლებელია, და ერთად ერთი სახსარი ფინანსთა მოწესრიგებისა, ეს ყაირათია. საშუალება საშოვნელი გზა—სესხი. სკობელევი აღნიშნავს, რომ თავისუფლების სესხზე ქვეყნის პოლიტიკურმა ცხოვრებამ იქონია გავლენაო. ხელის მოწერის პირველ დღეებში თავისუფლების სესხს ბევრნი აწერდნენ ხელს, ხოლო მთავრობის კრიზისის დროს ისიც დაეცა და ბოლოს, მთავრობის აღდგენისათანავე ისევ ძველს კალაპოტში ჩადგაო. შემდეგ მინისტრი შეჩერდა რა შრომის სამინისტროს მოქმედებაზე,—განაცხადა, რომ სამინისტროს ყურადღება მიქცეული აქვს განსაკუთრებით შრომისა და კაპიტალის ურთიერთობისა და შრომისა და ბაზრის მოწესრიგებისაო, სკობელევმა აღნიშნა საშუალებათა რიგი სოციალურ თავის დაზღვევის სფეროში, ბავშვთა და ქალთა შრომის საქმეში და უსაქმურობასთან ბრძოლის სფეროში. სკობელევმა ამცნო კრებას, რომ თიბათვის 7-ს, 6 მინისტრს სხდომა ჰქონდათ სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრების მოსაწესრიგებლადაო. მინისტრთა სხდომას წინადადება შემოაქვს დაარსდეს დროებით მთავრობასთან საეკონომიო საბჭო, რომელსაც დაევალება სამეურნეო რეფორმების გამომუშავებაო. განსაზღვრულ საშუალებათა განხორციელება,—სთქვა სკობელევმა,—არ არის დამოკიდებული მხოლოდ დროებით მთავრობის სურვილზე, არამედ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ორგანიზაციული აღმოჩნდება რევოლუციური დემოკრატია. ამ საშუალებათა განხორციელება რევოლუციურ დემოკრატიის შეერთებულ ცდა-მუშაობას ძალუძსო. შემდეგ გაიმართა კამათი დროებით მთავრობასთან დამოკიდებულებაზე.

# გაზეთ „საქართველოს“ კანტორისაგან.

## ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

**ვისაც გაზეთის ფასად გადახდილი ჰქონდა 5, 7 და 8 მანეთი, გაზეთის გაგზავნა ყველას მოესპოგათ.**

პროვინციებიდან თვიური ხელის მოწერა არ მიიღება.

# ეროვნული საკითხი

**ფინეთის სოც.-დემოკრატები და მისი დამოუკიდებლობა.**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 8. ფინეთის სოციალ-დემოკრატიულმა ყრილობამ ფინეთის მდგომარეობის შესახებ შემდეგი დადგენილება გამოიტანა:—რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ფინეთი და რუსეთი ცარიზმის და მონობის უღლისგან გაანთავისუფლა. ეხლა კი დადგა ჟამი ფინეთის განთავისუფლებისა რუსეთის ბურჟუაზიის უღლისაგან, რომელიც ადრე თუ გვიან შეეცდება ფინეთის უფლების აყრას და დამონებას. სულ ერთია ეს ბურჟუაზია იქნება დემოკრატიული, პროგრესიული თუ რეაქციონური. ამ მოსაზრებით ჩვენ რუსეთის მთავრობას ვერ მივანდობთ ჩვენი კანონების გამოცემას, აგრეთვე რუსეთის მთავრობას არ უნდა ეკითხებოდეს ფინეთის სეიმის გახსნის და დახურვის ნება. სეიმი უნდა იყვეს აღჭურვილი ყოველივე უფლებებით, სადამოუკნო და საფინანსო საკითხებს ის უნდა სწყვეტდეს. შეუწყნარებელია, რომ მომავალშიაც რუსეთის მთავრობის მიერ ინიშნებოდეს ფინეთის მართველობის წევრები. რუსეთის მთავრობას არ უნდა ჰქონდეს უფლება, რომ ფინეთში ძველებურად ითარეშოს, ფინეთს უნდა ჰქონდეს თავისი მართველობითი ძალა, რომელიც მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ პირებზე იქნება დამოკიდებული. ფინეთს საკუთარი მუდმივი ჯარი, დამოუკიდებლობის დროსაც კი არ ესაჭიროება. შეუწყნარებელია, რომ რუსეთის მთავრობას დაპყრობითი მიზნის გულისთვის ფინეთს მიწა-წყალზე გამაგრებული ციხეები ჰქონდეს. რუსეთის ბურჟუაზია ფინეთის აპეკუნობას ჩემულობს, ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ამას საწინააღმდეგოდ მოითხოვს ფინეთის სახელმწიფოებრივ თავისუფლებას. ამავე დროს ფინეთის საკითხი საერთაშორისო საკითხია და რუსეთის ბურჟუაზიას არ შეუძლიან უზრუნველჰყოს ფინეთი ხელშეუხებლობისაგან.

# რუსეთი და უცხოეთი

**ირლანდიის ამბოხების მონაწილე**

**ლონდონი.** თიბათვის 9. რუსის ქვეშევრდომი ქალი მარკევიჩი, რომელიც ირლანდიელთა ამბოხებაში მონაწილეობისათვის მთავრობის მიერ დატუსაღებული იყო, ციხიდან გაანთავისუფლეს.

**მეფე, ხალხის ყიჟინას გაურბის**

**ციურიხი.** თიბათვის 8. ლუგანოში მოსულს მეფე კონსტანტინეს ხალხმა ყიჟინა დასცა; მეფე ბრბოს დაემალა.

**დროებითი მთავრობის გულისწყრომა**

**პეტროგრადი.** თიბათვის 8. დროებითი მთავრობა გულისწყრომას უცხადებს პეტროგრადის ოლქის ჯარების უფროსს პოლოვცევს, რაკი მან, მთავრობის დაუკითხავად, გაანთავისუფლა ის ანარქისტები, რომლებმაც ამასწინად „რუსკაია ვოლია“-ს სტამბა იგდეს ხელთ.

**თეთრ-ბილეთებიანი**

**პეტროგრადი.** თიბათვის 8. შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებით, საჭიროა თეთრ-ბილეთიანების შემოწმების დროს სამხედრო საკრებულოში შემადგენლობა შევსებულ იყოს ორგანიზაციების წარმომადგენლებით და მეციხოვნეთა ორ დეპუტატით.

**ჯოჯოხეთქის მანქანის აფეთქება**

**პარიზი.** თიბათვის 7. ჰავრში ამერიკელ გემზე აფეთქება მოხდა. აფეთქდა აგრეთვე ჯოჯოხეთის მანქანა. ცეცხლი გაჩნდა.

**კერენსკის ბრძანება და მ.-ჯ.-კ. საბჭო**

**ეკატერინბურგი.** თიბათვის 8. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ მოისმინა რა ოლქის უფროსის დეპეშა კერენსკის ბრძანების შესახებ, რომ კვირაში ორჯელ მაცნოპეთ ომისა და გამარჯვების წინააღმდეგი ჯარის საქმეთა მდგომარეობაო, დაადგინა არ მიიღოს ეს ბრძანება, რადგან იგი თავის დამოუკიდებლობის შეზღუდვათ მიიჩნია,

**ანარქისტების გაძევება აგარაკ „დურნოვოდან“**

**პეტროგრადი.** თიბათვის 8. დროებით მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც დურნოვოს აგარაკი ანარქისტებმა სრულიად უნდა დასტოვონ არა უგვიანეს თიბათვის 8-ს.

**პროვოკატორი**

**კიშინევი.** თიბათვის 9. შეიპყრეს მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი იზბელიცკი, რომელსაც „ოხრანკა“-ში სამსახური ჰბრალდება.

**არქიეპისკოპოსის დატუსაღება**

**ვორონეჟი.** თიბათვის 8. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს დადგენილებით შეპყრობილ იქმნა არქიეპისკოპოსი ტიხონი.

**ვენიზელოსი პირეიში**

**ათინა.** თიბათვის 8. ვენიზელოსი პირეიში მოვიდა.

**საბერძნეთი და მოკავშირენი**

**ათინა.** თიბათვის 8. მეფემ წერილობით მიჰმართა ზაიმსს. წერილში სხვათა შორის სწერია, რომ კონსტიტუციის ერთგულ დარაჯათ ვიქნები და გვრწამს მოკავშირეთა კეთილი სურვილები საბერძნეთის მიმართაო.

**ორი მართველობა**

**კამიშინი.** თიბათვის 7. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ, ჯარის კაცმა მეიეროვმა განაცხადა რომ დროებითი მთავრობის მიერ გამოცემული რომელიმე კანონი შეიძლება დარღვეულ იქმნას თუ კი იგი ხალხისთვის მიუღებელი იქნებაო. ამ განცხადების შემდეგ აღმასრულებელ კომიტეტს თავი დაანება ნახევარზე მეტმა წევრებმა და ცალკე კომიტეტი დაარსეს.

**ომისა და ზავის გარშემო იტალიის პალატაში**

**რომი.** თიბათვის 7. (დაგვიანებულია). დეპუტატთა პალატაში მინისტრების საბჭოს თავმჯდომარე ბოზელლი თავის დეკლარაციაში, სხვათა შორის, მიუთითებს იმას, რომ შეცვლილ კაბინეტში ერთი მინისტრთაგანი სათავეში ჩაუდგება პატრიოტულ მოწოდების გავრცელებას, რომ არსად ისმას სამშობლოს მოღალატეთა ხმა. არავინაა ისეთი, ვისაც ზავი არ ჰსურდეს, მაგრამ გამარჯვებამდის კი ზავი არავის ჰსურს. ზოგი განუხორციელებელ ზავს ეტრფის და ამით ახლო მომავალს უსაზარლეს ომს უმზადებს. ბოზელლის შემდეგ სონნინომ, სხვათა შორის, განაცხადა, რომ იტალიელნი და მათი პარლამენტი განსაკუთრებითი ყურადღებით ეპყრობიან თავისუფალ რუსეთის მოქმედებათა მსვლელობას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, სთქვა ორატორმა, რომ ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპებით გამხნევებული რუსის ხალხი საკმარის ღონეს მოიკრებს იმ დაბრკოლება-სიძნელესთან საბრძოლველად, რომელიც თანსდევს პოლიტიკურსა და სოციალურ გარდაქმნას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ხალხის საღი ინსტინქტი მტრის ვერაგულ ხერხს ალლოს აუღებს, რადგან მან იცის, რომ რუსეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსაპოებლად სრული თანხმობა მოკავშირეებთან და მედგარ ბრძოლის გაგრძელებაა საჭირო. სონნინომ მოიხსენია, რომ მთავრობა ზავის შესაკრავად აუცილებელ საჭიროებად სთვლის ბელგიის, მთაშავეთის და სერბიის აღდგენასა და პოლონეთის გაერთიანება-დამოუკიდებლობასო. ალბანეთის შესახებ მან განაცხადა: „ჩვენ შევურიგდით ალბანეთის დამოუკიდებლობას საერთო პრინციპის გამო, რომელსაც ჩვენი მოკავშირეები ხელმძღვანელობენ და რომელნიც ამერიკელ მთავრობისა და ლიბერალ რუსეთისაგან იქმნა აღვიარებული. იტალიის ალბანეთისგან არა ჰსურს რა. პირიქით მას შინაგან თვით-გამორკვევის სრულს გარანტიას ვაძლევთ. ალბანეთის საზღვრების დამიჯნა ზავის შემდეგ სამშვიდობო კონფერენციაზე მოხდება. ალბანელნი თვითონ შეიმუშავებენ როგორც საპოლიტიკო, ისე საადმინისტრაციო და საეკონომიო გეგმათა. საბერძნეთში მომხდარ ამბების გამო სონნინომ განაცხადა: „თუმცა იტალიის, როგორც მფარველ სახელმწიფოთა გარეშე მყოფს, მონაწილეობა არ მიუღია ამ საქმეში, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც სრულს თანხმობას განამტკიცებს მოკავშირეებთან. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბერძნეთი შემდეგში არავითარ დაბრკოლებას არ განუმზადებს მაკედონიაში მოკავშირეთა საექსპედიციო კორპუსს. საერთო პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეიცავს ტომთა სხვადასხვაობით მათ გეოგრაფიულ მდებარეობით, ტრადიციებით და მიმართულება-იდეალებით გამოწვეულ პრობლემებს, იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია იარსებოს კერძო შემთხვევებით შექმნილ მოთხოვნილებათა ფორმულამ. სამართლიანობისა და ადამიანობის იდეია თავისთავად უარჰყოფს უბრალო ფორმულების ყველგან მექანიკურად გამოყენებას. ამიტომ იმ წმინდა უარყოფითი ლოზუნგს, რომელიც პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ აღიარა: „ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო“—აკლდა რა განმარტება სხვა ერთა თავისუფლება-დამოუკიდებლობისა, რაც მეტად საჭიროა საერთაშორისო სამართლიანობის დასამყარებლად, პრაქტიკულად აკანონებს ძველ უსამართლობის და ძალადობის გაგრძელებას ძველ მდგომარეობისკენ დამაბრუნებელ გზით(?..) (შემდეგი იქნება, ჯერ არ მიგვიღია).

# უკანასკნელი დეპეშები

**ხმებია, საფრანგეთმა უარი სთქვა რუსეთის მიერ საფრანგეთის და მაკედონიის ფრონტებზე ჯარების გაგზავნაზეო. საფრანგეთში მყოფ რუსების ჯარსაც მალე დააბრუნებენ.**

—

**პეტროგრადში სოც.-დემოკრატები მიტინგებს ჰმართავენ ციმერვალდის მომხრის გრიმმის გაძევების საწინააღმდეგოდ.**

# ქრონიკა

## კავკასია

**პოლონელთა კომიტეტი.** თბილისში შესდგა ინჟინერ კრიჟანოვსკის თავმჯდომარეობით პოლონელთა ორგანიზაციების სრული კომიტეტი. ახლო მომავალში მოწვეულ იქნება კავკასიაში მყოფ პოლონელთა ყველა ორგანიზაციების ყრილობა.

**თათბირი მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ.** თიბათვის 9-ს ამიერ კავკასიის მევენახე-მეღვინეთა საბჭომ დაადგინა მოიწვიოს ყველა რაიონებში ადგილობრივ მევენახე-მეღვინეთა დელეგატების ყრილობა ადგილობრივ საჭიროებათა გამოსარკვევად. ამის შემდეგ მოწვეულ იქნება მეორეთ ამიერ-კავკასიის დელეგატთა საოლქო ყრილობა ნომეტებულ დემოკრატიულ შემადგენლობით, ვიდრე პირველი ყრილობა იყო.

**ნაოსნობის განახლება.** ოსმალეთთან ომის დაწყების დღიდან დღემდისინ შავ ზღვაზე ნაოსნობა თითქმის სავსებით შეწყვეტილი იყო. ეხლა, თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, სამოგზაურო ნაოსნობა უკვე განახლებულა, ხოლო საქონლის გადატან-გადმოტანა ჯერ ვერ არის კალაპოტში ჩაყენებული, მაგრამ ეს საქმე ჩქარა მოგვარდებაო.

**ინგლისიდან საქონლის ზიდვის შეწყვეტა.** თბილისში ზოგიერთმა სავაჭრო ფირმებმა ცნობა მიიღეს: ინგლისიდან რუსეთში საქონლის გამოგზავნა შვეცია-ნორვეგიის გზით დროებით შეწყვეტილიაო; საქონელი არ გამოიგზავნება არც საფოსტო ამანათებათ და არც ბარგის სახით. ფოსტა სრულებით არ ღებულობს რუსეთში გამოსაგზავნ ამანათებს. მარშრუტი არხანგელსკსა და სკანდინავიაზე აღარ არსებობს, ხოლო გამოგზავნა საქონლისა კანადითა და იაპონიით აპრილის 13-დან (ახ. სტილით) სავსებით შეწყვეტილია ახალ განკარგულებამდის.

**ტელეგრაფი** ისეა დატვირთული საქმით, რომ სადგურები მუშაობას ვერ ასდიან და ტელეგრაფით გასაგზავნი ცნობები ძალიან ხშირად ფოსტით იგზავნება. ამის გამო სათანადო მთავრობის განკარგულებით მისალოცი დეპეშის მიღება და გაგზავნა დროებით აკრძალულია.

## საქართველო

**დამფუძნებელი კრება ქართულ სატეხნიკო საზოგადოებისა.** პარასკევს თიბათვის 16, საღ. 8 საათზე დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2) დანიშნულია საზოგადო დამფუძნებელი კრება ქართველ სატეხნიკო საზოგადოებისა. განსახილველია საზოგადოების წესდება, მოხსენება საბჭოსი, სექციებისა და სხვა. კრების მომწვევთ იმედი აქვს, რომ ამ კრებას დაესწრებიან როგორც თბ. მცხოვრებნი, აგრეთვე სხვა ქალაქებიდგან, ქუთაისიდგან, ბათომიდგან და ბაქოდგან ინჟენერ-ტეხნიკოსები, მიწისმზომელები, სტუდენტები, და საერთოდ ვისაც სურვილი აქვს და სწამს ამ საზოგადოების მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოსათვის.

**საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საქმეების გამო** პეტროგრადს მიემგზავრება საგანგებო დეპუტაცია. ორი წევრი დეპუტაციისა—გორის ეპისკოპოსი ანტონი და დეკ. კალ. ცინცაძე უკვე წავიდნენ ამ თვის 9, საღამოს, დღეს საღამოს წავლენ მ. ვ. მაჩაბელი და დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელნი. პეტროგრადში მათ შეუერთდებათ არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია). დეპუტაციას დავალებული აქვს დაამტკიცებინოს დროებით მთავრობას დებულებანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა.

**აჭარლების საქმე.** უსამართლოდ დასჯილ აჭარლების შესახებ კარლო ჩხეიძე ატყობინებს ნოე ჟორდანიას, რომ კერენსკი თანახმაა გადასინჯულ იქმნას გასამართლებულთა საქმეო.

## თბილისი.

**კვირას 11 ივნისს** დილის 10 საათზე დანიშნულია მე-10 და მე-12 უბნის წვრილ ვაჭართა კრება პროექტორ „მულენ-ელექტრიკში“ მიხაილოვის ქუჩა, იუნკრების სასწავლებლის შენობის პირდაპირ, რაიონული კომიტეტის ასარჩევად.

**უწესოება ავლაბარში.** უკანასკნელ დღეებში უწესოებამ თანდათან იმატა ავლაბარში. ამის გამო ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა მილიცია გააძლიეროს ავლაბარში და მილიციის კომისრად უფრო გაბედული და ენერგიის მქონე კაცი დანიშნონ.

**ლექცია.** კვირას დილის 11 საათზე თეატრ „ლირაში“ სასტუმრო

„ნოი“-ს შენობაში, მიხაილოვის პროს. ს. ჯაფარიძე წაიკითხავს ლექციას „ერი და სოციალიზმი“. კერძო საკუთრება, სახელმწიფოებრივი კოლექტივიზმი თუ ანარქიული კომუნიზმი.

**ხალხის თავისუფლების პარტია.** ამა თვის 9-ს კრება ჰქონდა პარტიის მოსწავლე წევრთა სექციას. გიმნაზიის მოსწავლე ერისთავმა მოხსენება წაიკითხა შემდეგ თემაზე: „ადგილობრივი ავტონომია“. შემდეგ ამისა არჩეულ იქმნა სექციის პრეზიდიუმი.

**ქურდობა.** ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გაჰქურდეს მ. ი. კაზიევის ბინა, წაღებულია სხვა და სხვა ნივთები, 4.155 მანეთად ღირებული.

**უწესოებანი ავლაბარში.** გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ცნობის შესავსებლად ავლაბარში მომხდარ უწესოების შესახებ, მოგვყავს შემდეგი ფაქტი: თიბათვის 9-ს გათენებისას 300 კაცისაგან შემდგარი ბრბო, რომელთა შორის ბევრი მთვრალი იყო, დიდის ხმაურობით ქუჩა ქუჩა დადიოდა. ბრბო შეხვდა მილიციონერს და მოსთხოვა, გვაჩვენე სად ჰყიდიან ღვინოსაო, მილიციონერისაგან უარი მიიღო. მაშინ ბრბომ რევოლვერით დასჭრა იგი, ძალზე სცემა და შემდეგ დაამტვრია სასადილო „სოიუზი“-ს კარები შევიდა, შიგ და ღვინოს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვა და სასადილო დალეწა. ბრბოს მონაწილენი სალდათის ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილი.

**ავადმყოფი კაცი.** ყაზბეგისა და წყნეთის ქუჩების შესართავში ზის ჩვ-ქმების მწმენდავი კაცი, რომელსაც დროგამოშვებით ავადმყოფობა მოუვლის ხოლმე და აღარავის ინდობს. ამ კაცის შესახებ რამდენჯერმე განუცხადეს ვისდამიც ჯერ იყო, მოგვაშორეთ თავიდანო, მაგრამ არა გამოვიდა-რა. გუშინ ამა თვის 10-ს ეს ავადმყოფი უცვლად უმიზეზოდ ეცა მიმავალ მღვდელს და ძალზე ცემა დაუწყო. გამვლელ-გამომვლელებმა ძლივს იხსნეს მღვდელი. საჭიროა ადგილობრივმა მილიციამ ღონის ძიება იხმაროს ავადმყოფის სადმე მოსათავსებლად.

**მილიციის უფროსმა** ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით კომისარები, მათი თანაშემწენი და უფროსი მილიციონერები ვალდებული არიან თან იქონიონ მოწმობა თავიანთ ვინაობის შესახებ და თუ ვინმე მოსთხოვთ, მაშინვე აჩვენონ.

**სურსათი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის სახელობაზე მოვიდა თიბათვის 9-სა და 10-ს ფქვილი 16 ვაგონი და ხორბალი 8 ვაგონი.

**მ. ა. ჯაბარი,** თბილისის გამგეობის წევრი, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თიბათვის 9-ს, საღამოს 9 საათზე.

**სახლის პატრონები.** კვირას, თიბათვის 11-ს, თბილისის საურთიერთო ბანკის შენობაში, დილის ათ საათზე დანიშნულია ქ. თბილისის სახლის პატრონების კრება, ორი დელეგატის ასარჩევად. დელეგატები პეტროგრადში უნდა გაიგზავნონ სრულიად რუსეთის სახლის პატრონთა ყრილობაზე დასასწრებლად. ხალხი რამდენიც უნდა დაესწროს, კრება მაინც კანონიერი იქნება.

**ახალი წიგნები.** ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა დაბეჭდოს სეით იაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები „ბუნებისმეტყველება“ და „ბოტანიკა“.

## პროვინცია.

**ტყის გაჩეხვა.** სოფ. ძეგვში (ქართლი), როგორც თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს შეატყობინეს, გლეხებს ტყე გაუჩეხიათ: კომიტეტმა ამ საქმის გამორკვევა მიანდო სასოფლო-სამეურნეო კომისიას.

**დიდი სეტყვა.** ივრის ხეობაში, სოფ. პატარძეულსა, აღბულახსა და ნინოწმინდაში დიდი სეტყვა მოსულა და სულ ერთიან გაუნადგურებია ვენახები, ბაღები და ყანები.

**სურამის ამბების გამო.** როგორც გავიგეთ, ყველა ის პირი, ვინც სურამის ამბის გამო, რომელიც მაისის 14-ს იქ მოხდა, დაჭერილი იყო, გამოძიებამ გაამართლა და გაანთავისუფლა.

**შეწირულება ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ.** თელავში, ვოლხოვის აფთიაქის მსახურმა, (სტოროჟმა) ნასყიდა კოკონაშვილმა თავის მძიმე ავადმყოფობის დროს, ნოტარიუსის წესით შესწირა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებას 3000 მ. ფული და 2000 მ. ღირებული დუქანი, რაც თავის საკუთარი შრომით და ხელმომჭირნეობით ჰქონდა შეძენილი.

**იარაღის მეიდველი ლეკები.** თელავის კომისარმა შეიპყრო რამდენიმე ლეკი, რომლებიც ვაჟრებში დადიოდნენ დაფარულად და იარაღს იძენდნენ, გაჩხრეკის დროს ზედ აღმოაჩნდათ 3 ფუთამდე ტყვია-წამალი და რამდენიმე რევოლვერი და ხანჯლები.

**სურსათი.** თელავის სასურსათო კომიტეტმა მიიღო ერთი ვაგონი ფქვილი. რადგანაც ამ ჟამათ ფქვილის კრიზის განიცდის თელავი, ამის გამო შემნახ. გამსესხ. ამხანაგობამ გადაწყვიტა, თავის წევრებს თითო ფუთი ფქვილი მისცეს.

* * *

რა ვქნა ე ჩუმი ნაღველი გულს რატომ აღარ შორდება?
თითქოს დღემ ღამე შესცვალა და ყველა წელში სწორდება!
მთას იქით შავი ღრუბლები მაშ რისთვისა გროვდება?
ნუ თუ კვლავ სიტყვა მოგველის და გული მისთვის გლოვდება?!
არა, დაჰბერე გრიგალო და ქარიშხალო ძლიერო,
ნულარ შეიხრი ლამაზ წარბს ცისა და ქვეყნის იერო.
აღარ გვაჩვენოთ სამოსი ჯანყებისა და ნისლისა,
გვეყო სიბნელე ღამისა, გვეყო წვიმები სისხლისა!..
მძიმე რამ ულის ლოდინში გული რო ასე ავდება,
ვიდრე არ დავდოთ წამალი წყლული არ დაგვიამდება.
მალამოც შენ ხარ მეტყველო ქვეყნის გულის და გრძნობისა,
წამებით მატარებელო სიყვარულის და ძმობისა.
მაშ შეუერთდი ქარიშხალს გამკვეთს, მძაფრსა და ძლიერსა,
რომ შხამი დაანთხევინოთ ქვეყნის ორგულს და ცბიერსა,
თორემ ვერაფერს გახდები მუდარითა და ლოცვითა,
ჰაი კვლავ შეგეპარება გულის საღრღნელად ცოცვითა.

**შიო მღვიმელი.**

# ჩვენი ქალები

(სახუმარო მოთხრობები)

### I. დაბალ ანგელოზიანები.

კი არ მირბოდა, მიფრინავდა. კაბის წინკალთა მუხლებზე გაჰკვროდა, უკანა კალთა დროშასავით უფრიალებდა. ერთი აზრით იყო გატაცებული და არავის აქცევდა.

— საით, ქალო, საით?—მოესმა ყურში ნაცნობის ხმით წარმოთქმული სიტყვები.

— ნეტავი საქმე ვის გამოჰლევია, რომ მეძახის?!—სთქვა წყრომით გულში ქალმა.—მე კი არა მკითხავს ახლა, მცალიან თუ არა?!. ჩქარა მივიდე ერთი, არ გაიყიდოს!

სწრაფად მიმავალ ავტომობილს შურით თვალი გადაავლო.

— ნეტავი ამაში მაინც ჩამსვა!—წამოიძახა ოხვრით.

— მაკუნი, მაკუნი! დამიცა, ქალო ერთი, დამიცა!—გაიგონა კიდევ ისევ ის ნაცნობი ხმა.

უკმაყოფილოდ შეჩერდა.

— ოჰ, ნაკუნი, შენა?!—წამოიძახა მაკუნიმ ღიმილით, რაკი დაინახა, რომ მეგობარი ქალი ეძახდა.

— ჰო, დიახ, მე!—უპასუხა ნაკუნიმ და თავი გადაიღ-გადმოიღო: ქუდის ნახევარ-არშინოვანი ჯიღა აიცანცარა.

— საქმე გაქვს რამე?—ჰკითხა მაკუნიმ—რათ შემაყენე?

ნაკუნიმ პასუხის მაგივრად თავი დაუქნია და ქუდის ჯიღა ცხვირზე გაუცაცუნა: უნდა მეგობრისთვის ეცნობებინა, რომ ახალი ქუდი ეხურა თავზე.

— ნელა, ქალო, თვალი არ გამომთხარო!—წამოიძახა მაკუნიმ შუბლშეკვრით.—აბა, ჩქარა! მითხარი!

— იცი, ქალო?..—დაიწყო უკმაყოფილო კილოთი ნაკუნიმ და შეჩერდა: სწყინდა რომ მეგობარმა, აქამდე თავზე ახალი ქუდი არ დაუნახა.

— განგებ სჩადის, განგებ!—სთქვა გულში გაჯავრებულმა.—არ უნდა ჩემი ლამაზი შლიაპა მოიწონოს... ჰშურს!

— თქვი რაღა, ქალო, რა გინდა!—უთხრა მაკუნიმ და თავზე თვალი გადაავლო—ქა, ახალი შლიაპა გიყიდნია?!—წამოიძახა ირონიანარევი ღიმილით—ლამაზია აი!

ნაკუნი კმაყოფილებით გაწითლდა.

— ჰო!—გაისმა მორცხვად. — ხუთი თუმანი მივეცი.

— თქვი რაღა, ქალო, რა გინდა!—გაუმეორა მაკუნიმ.—ნუ მალოდინებ!

— ჰო, იცი, რა მინდოდა? სად მიხვალ?

— მაგის გულისათვის გამაჩერე? ნეტავი შენა!.. დრო დამაკარგვინე. მეც შლიაპა მინდა ვიყიდო. გუშინ ამოვარჩიე... იაფად მაძლევენ... მეშინიან არ გაყიდონ.

— მეც წამოვალ.

— კარგი. აბა, ჩქარა!.. გავიქცეთ.

გზას გაუდგნენ. ტროტუარზე ორი კაბის ბოლო აფრიალდა.

— მაკუნი! ნაკუნი!—მოესმათ მეგობრებს ახლო მაღაზიიდან.

— ადამიანს ხომ არ დააცდიან, საქმე გააკეთოს!—წამოიძახა გულმოსულმა ნაკუნიმ.

ქალი მეგობრის მიერ არჩეულის ქუდის ნახვასა ჩქარობდა.

— მაშა, ქა, მაშა!—დანძინა მაკუნიმ ნაკუნის სიტყვებსა.

— ვიშ, ქაათ, ძლივს არ დაგეწიეთ!—მოესმათ უკანიდან.

მოიხედეს.

— ეკუნი, შენა?!—წამოიძახეს მაკუნიმ და ნაკუნიმ.

— მე ვარ, მაშა!

— აბა, ნულარ გვაჩერებ!—უთხრა ეკუნის ნაკუნიმ.—მაკუნიმ შლიაპა უნდა იყიდოს.

ტროტუარზე ორის მაგიერ ახლა სამი კაბის ბოლო აფრიალდა.

— ქაათ, ქაათ! სად მიეშურებით, სად?—შეჰჭიკჭიკა ქარვასლიდან მომავალმა ქალმა მეგობრებს და წინ გადაეღობა.

— რა არის კისუნი, შენცა ერთი?! რა დაგემართა, რას გვეღობები?!—უთხრა გაჯავრებით ეკუნიმ.—გვეჩქარება.

— რა არის ახლა?! გაგეხუმრეთ... რა გაჯავრებს?.. სად მიხვალთ?

— მაკუნიმ შლიაპა უნდა იყიდოს.—აუწყა ნაკუნიმ და ცხვირ წინ ახალ ქუდიანი თავი გაუტარ-გამოუტარა.—თუ გინდა, შენც წამოდი.

— წამოვალ.

წავიდნენ. ტროტუარზე ოთხი კაბის ბოლო აფრიალდა.

დანიშნულ მაღაზიას მიაღწიეს.

მაკუნი შეჩერდა. შესვლას ვერ ბედავდა: ღელავდა. ერთი წამის განმავლობაში სხვა და სხვა ფერის აზრებმა გაურბინეს თავში.

— ვაი თუ დამიწუნონ! რას იტყვიან? ნაკუნის შლიაპას მაინც სჯობია, მგონი.—ფიქრობდა ქალი.

— შედი, რაღა, ქალო!—წაჰკრა ნაკუნიმ ხელი.

არც ეს იყო მშვიდათ: თან მაკუნის ამორჩეულ ქუდის ნახვასა ჩქარობდა, თან კიდეც გული ეთანაღრებოდა, უკან იხევდა, ვაი თუ მაკუნის შლიაპა ჩემ შლიაპაზე კარგი იყოსო.

— შევიდეთ რაღა, რაღას დადექით?!—წამოიძახეს ერთხმით ეკუნიმ და კისუნიმ.

შევიდნენ.

— მობრძანდით!.. რას მიბრძანებთ?.. მობრძანდით, მობრძანდით! აი აქეთ მობრძანდით!.. ბრძანეთ, რა გნებავთ!—მიაყარა ნოქარმა კენჭებივით სიტყვები.

— გუშინ რომ შლიაპა ავარჩიე ხომ გახსოვთ?—მოაგონა მაკუნიმ—აი ასეთი შლიაპა.—ქუდის მოხაზულობა. ხელით აჩვენა.

—შლიაპა?!.—შეეკითხა ნოქარი შეშფოთებით: ეტყობოდა სინდისში ჭიანჭველები გაჰრეოდა.

— ჰო შლიაპა.

— აა!.. მახსოვს, მახსოვს! როგორ არა, მახსოვს!

— ჰო და გადმომიღე.

— უკაცრავოდ, ბოდიშს ვიხდი!.. დაიგვიანეთ. თქვენი არჩეული შლიაპა ეს არის ეხლა, აგე, იმათ იყიდეს.

მაკუნიმ გაიხედა იქით საითაც ნოქარმა მიუთითა და კინაღამ გული საგულედან არ ამოუვარდა.

— ძალიან ლამაზია ბატონო!—უთხრა ნოქარმა.—მაგრამ დაიგვიანეთ. ერთი ფეხით ადრე, რომ მოგესწროთ ეგ შლიაპა თქვენ თავს დაამშვენებდა.

— რა მშვენიერებაა!—წამოიძახეს ეკუნიმა და კისუნიმ, როცა უცხო ქალის თავზე მაკუნის შლიაპა დაინახეს.

—შე კაი ქალო, შენა!—მიმართეს მაკუნის საყვედურის კილოთი.—როგორ გაუშვი ხელიდან?!

ნაკუნი კი სდუმდა და პირზე კმაყოფილების ღიმი უკრთოდა.

— კიდევ კარგი! კიდევ კარგი, რომ დაიგვიანეთ,—ამბობდა თავის გულში,—თორემ ეს შლიაპა ხომ ეხლა მაკუნის ექნებოდა თავზე წამოდგმული!

— რა არის ახლა პატარა ხანს კიდევ ვერ მომიცადეთ?—უსაყვედურა ნოქარს მაკუნიმ—სულ თქვენთან არ ვაჰრობ?

— უკაცრაოდ ბოდიშს ვიხდი, ბატონო!.. მაგრამ თქვენ დანიშნულ დროზე არ მობრძანდით, მუშტარი კიდევ ხელცარიელი არ მინდოდა გამეშვა... ბევრი არჩია და მარტო მაგაზე შეუვარდა გული... სხვას მოგართმევთ, ბატონო! ხვებიც ლამაზებია!

— არ მინდა—მიუგო უკმეხად მაკუნიმ და ნაკუნის მიუტრიალდა—სულ შენი ბრალია, სულ შენი! გამაჩერე, ამეკვიატე და დავიგვიანე.

— ქა, ჩემი რა ბრალია? თუ გინდოდა, უარს მეტყოდი და არ წამოგყვებოდი. ან ვინ გეხვეწებოდა, რომ ჩერდებოდი?! ან შენმა თვალებმა მარტო მე დამინახა?

ნაკუნიმ ეკუნისა და კისუნის თვალი გადაავლო.

— ჩვენ რა? აბა ჩვენ რა?—წამოიძახეს ეკუნიმ და კისუნიმ.

— სულ შენი ბრალია, სულ შენი—გაუმეორა კიდევ მაკუნიმ ნაკუნის.—შენ არ იყავი, რომ მანამ არ გამაჩერე სულ დაიცა ქალოს მეძახდი? როგორ არ გრცხვენიან, რომ უარობ?!

— მერე? განა უთუოდ უნდა გაჩერებულიყავი?!

— ერთი უყურეთ ამ უსვინდისოს, რას ამბობს!—წამოიძახა გაწიწმატებულმა მაკუნიმ,

— უსვინდისო რათ ვიქნები? უსინდისო შენ თვითონა ხარ!.. ვერ იყიდა ლამაზი შლიაპა და ჯავრს ჩემზე ყრილობს. უი შენ თვალებს!

— ერთი უყურეთ! უყურეთ! რა ურცხვათ ლაპარაკობს!

— სუ, ქალო, რა გაყვირებს!—უთხრა კისუნიმა მაკუნის—ხალხი გიცქერით... წამო ვაროთ.

— ურცხვი შენა ხარ!—შეუბრუნა სიტყვა ნაკუნიმ მოპირდაპირესა.

ნოქრებს სიცილი წასკდათ.

— სუ ქალო, შე რაღა დაგემართა!—უთხრა ეკუნიმ და ხელი წაავლო.—წავიდეთ.

ოთხივემ მაღაზია დასტოვეს.

ტროტუარზე წინ მაკუნი და კისუნი მიდიოდნენ, უკან ცოტა მოშორებით, ნაკუნი და ეკუნი.

— მაგან სულ აგრე იცის! დიახ მაგან სულ აგრე იცის—წაჰმურმურა კისუნიმ მაკუნის.—როდის ყოფილა რომ ნაკუნის ხელი არ შეეშალოს ადამიანისთვის?

— ჰო და ვერ უთხარი კარგებისა!—მიუგო მაკუნიმ.—წავიდეს და საცა თავისი დაიქადოს ჩემიც იქა სთქვას!

— შე კაი, ქალო, არ იცი მაკუნი რა მიზეზიანია?—უთხრა ეკუნიმ დაბალის ხმით ნაკუნის.—აბა, მითხარი, როდის არ წასჩხუბებია ადამიანსა? თვითონ საქმეს გააფუჭებს და სხვას დააბრალებს ხოლმე.

როგორღაც მოხდა: კისუნი მაკუნის ჩამორჩა და ნაკუნის გვერდში ამოუდგა, ეკუნიმ ნაკუნის წინ გაუსწრო და მაკუნის წამოეწია.

— აკი გეუბნები ხოლმე, ქალო,—უთხრა კისუნიმ ნაკუნის,—ნუ ერევი მეთქი მაკუნის საქმეში.

— რა ვქნა ქა! მე სიკეთე მინდა ხოლმე ადამიანისათვის—ხომ იცი ჩემი გულის ამბავი?—უპასუხა ნაკუნიმ კისუნისა.—მაგრამ მაგის დასაბრმავებელი თვალები განა დაინახავენ რამეს? აბა მერედაც მითხრას, დამეხმარეო!.. ნახავს, საითაც უჩვენებ გზასა!

— აქამდისაც რომ აგრე გექნა ჰკუას არ წაგებდი.

— ადამიანო, ხომ იცი რა შურიანია? განა მაგისაგან სიკეთე რამე გამოდგება?—ჩაჰკურკურა ეკუნიმ მაკუნის.—აბა, მითხარი, რომელს არ წაუხდინა ნაკუნიმ საქმე?! რომელს არ დაადგა ყბა, მაგ ყბად ასაგდებმა?!

— რა ვქნა, კისუნი, ჩემი ოხერი გული, თორემ განა მაგას ადამიანმა ხმა უნდა გასცეს?—უთხრა მაკუნიმ.—და აღარც გავცემ, სწორედ რომ აღარ გავცემ!

წინ მეხუთე მეგობარი ქალი შემოეყარათ და ყველანი შეაჩერა.

— კეკუნი!—წამოიძახა გახარებულმა ეკუნიმ.

— ოო! ვახლავარ, ვახლავარ.—მიესალმა მხიარულად კეკუნი ოთხთავესა და ნაკუნის მიმართა.—დღეს საღამოზე თქვენსა პოეტი შაშოშვილი იქნება არა? ვიცოდე მეც თქვენი სტუმარი ვარ.

— დიახ იქნება.—უპასუხა ამაყად ნაკუნიმ და ცალი თვალით მაკუნის გადახედა.

მაკუნის შაშოშვილის გახსენებაზე ყველაფერი გადაავიწყდა, გუნებაზე დადგა.

— მაშ მეც მოვალ გენაცვალე, ჩემო ლამაზო!—შეჰქლმურტულა მეგობრულის კილოთი უშლიაპოდ დარჩენილმა ქალმა ნაკუნისა.

— მოდი მაშ! უსათუოდ მოდი!—მიიწვია ხელგაშლით ნაკუნიმ მაკუნი.—შაშოშვილი ლექსს წაიკითხავს, იცი რომელსა: „შავი თოვლისას და თეთრი მქვარტლისას“.

— ერთი, ჰხედავ რა ჰქნეს?—წასჩურჩულა კისუნიმ ეკუნისა.

— დაბალი ანგელოზების ხალხია—უპასუხა ჩუმის ხმითვე ეკუნიამ.

— მშვიდობით! ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ თავს განებებთ—წამოიძახა კეკუნიმ და ერთ ვინმე ახალგაზდას გამოეკიდა...

— თქვენც მოდით, ქაათ, ჩვენსა!—მიმართა ნაკუნიმ ეკუნისა და კისუნის ცალი ყბით.

— არა მცალიან.—უპასუხა ეკუნიმ უგემურად. ნაკუნის გულში იამა. იცოდა, თუ ეკუნი არ ეწვეოდა, კისუნიაც არ ეწვეოდა, თუ კისუნი არ ეწვეოდა, ეკუნიაც არ ეწვეოდა.

— შენა?—შეეკითხა ნაკუნი კისუნისა.

— მეე?.. მოვალ.—მიუგო სიტყვის ჰმეით კისუნიმა.

ნაკუნი შეკრთა: ეს სრულებით არ უნდოდა.

— მეც მოვალ!—წამოისროლა ეკუნიმ.

ნაკუნი მთლად მოიშალა: არ მოელოდა. ყველას უგულოდ გამოეთხოვა და ნაწყენმა შინისკენ შურდულივით გასწია.

**ინ—ბანი.**

# საფრანგეთის დიდი რევოლიუცია

V.

**რევოლიუცია და ევროპის სახელმწიფონი. ომები. „სამშობლო განსაცდელშია“. კონვენტის მოწვევა. და ლუი XVI დასჯა.**

საზოგადოდ თითქმის ყველა სახელმწიფომ მტრულის თვალით დაუწყო ყურება საფრანგეთის რევოლიუციას. ამ მტრულს განწყობილების მომიზეზე არა მარტო ემიგრანტები იყვნენ, რომელნიც კონტრ-რევოლუციისთვის აქეზებდნენ ყველას, არამედ საკუთარი შიში, რომ რევოლუციის ტალღას იმათს სამფლობელოშიაც არ გადაეხეთქნა. შვედების მეფე გუსტავ მე-III უკვე მზად იყო ჯვაროსნობის ომი გამოეცხადებინა, რათა აეფრიალებინა მეფის დროშა და შეფლეთილი ადგილები თეთრი ყვავილებით მოეკვალთა. პრუსია და ინგლისი მზადებაში იყვნენ, თუმცა ხმა არ ამოუღიათ ჯერჯერობით მეფის საშველად. რუსეთის დედოფალი ეკატერინე მე-II ქადაგდით ანუგეშებდა მეფეს; მაგრამ უფრო თავისთვის მზადებაში იყო, რომ უკანასკნელი ჯარისკაციც კი რევოლუციის ნიშნების ჩასაქრობათ გამოეყვანა. ერთი სიტყვით, მეფისთვის რეალურად არავის გამოუწოდებია ხელი, თუმცა ყველანი ფარულად იზიარებდნენ მის შავბნელ სულისკვეთებას. სასოწარკვეთილმა მეფემ ხსნა ერთხელ გაქცევაში დაინახა, ოჯახობითურთ კიდეც მოახერხა გაქცევა, მაგრამ კონსპირაცია არ იქმნა დაცული, ვარენშივე დაიჭირეს და ერთის ამბით ჩამოიყვანეს პარიზში. ამ გარემოებამ ააღელვა პარიზი. მეფემ დაჰკარგა ყოველგვარი ნდობა. მის ჩამოგდებას ეხლა აშკარად მოითხოვდნენ.

საფრანგეთის ზოგადი მდგომარეობა მით უფრო გართულდა, როდესაც უკიდურესმა დემოკრატებმა ხელში ჩაიგდეს მმართველობა. ლაფაეტი დაქვეითდა, პოპულიარობას ისევ რობესპიერი პოულობდა. ეს გახლდათ მეტის-მეტად წვრილმანი, პატივმოყვარე პროვინციელი ვექილი, რუსოს მოწაფე, ისტორიაში სამართლიანად ცნობილი როგორც ველური, მაგრამ სანტიმენტალური ფოცხვერი, რომელიც ყოველთვის ფრთხილად იქცევა, რათა ამონიშნული მსხვერპლი ერთის ნახტომით წააქციოს და გამოჰგლადროს. მას სძულდა ყველა, ვინც კი მის ნიჭს ოდნავად ჩრდილს მიაყენებდა. პოლიციური სულით, ცივი ფანატიკოსი ტრიბუნალი, იგი სისხლიან ხელით აღმართავდა ორპირა მახვილს, რომელზედაც უნდა წამოგებულიყო საფრანგეთი. და აი, როდესაც მისმა ფანატიზმმა შიშის ზარი დასცა ყველას და სამოქალაქო ომი გაჩაღდა, პრუსაკებმა იდროვეს, უკვე მოაბიჯებდნენ საფრანგეთის სამზღვრებზე. ეს იყო ერთგვარი გამოსეირნება. მათ ერთის ხელის გაქნევით აიღეს ლონგვი, ნაპლევეს ლოზუნი და გარს შემოერტყნენ მაშინაც და ეხლა უფრო სახელგანთქმულს ვერდენის ციხეს, საიდანაც პარიზამდინ რაღაც ორიოდ დღის სავალი რჩებოდათ. ამ გარემოებამ შიშის ზარი დასცა პარიზს, ვამბობთ პარიზს, ვინაიდან მთელი საფრანგეთის ტვინი და ნერვი მაშინაც და ეხლაც მხოლოდ ის იყო. მთელს ქალაქში ასტეხეს საშინელი ზარების რეკვა. დაფდაფების ცემით ყურთა სმენა იყო წაღებული. ქალაქის საკრებულო სასახლის თავზე უზარმაზარი დროშა გადმოჰკიდეს ლამაზი ზედწარწერით „სამშობლო განსაცდელშია“ (la Patrie est en danges!“) ამავე დროს რუჟე დე-ლილმა დასწერა სახელოვანი მარში—მარსელიეზა, რომელსაც ყველანი აღფრთოვანებით მოიმღერდნენ. პარიზელი ქალები, მოსამსახურე თუ მოვაჭრე გოგოები ჯარის კაცების სამოსით თავდამცველ ლაშქარში ჩეწერნენ და არა-ნაკლების ხალისით მოუწოდებდნენ დიდსა და პატარას სამშობლოს სახსნელად. დაუმატეთ ახლა ბრაუნქვეინის მთავრის თავხედური დეკლარაცია და მუქარა, ვინც წინააღუდგებით ავსტრია-პრუსიის ჯარს, სასტიკად დაისჯებით, როგორც მეამბოხენიო და მაშინ მიიღებთ მშვენიერს სურათს, როდესაც მთელი საფრანგეთი აღფრთოვანებულის სულით განემზადა სამშობლო საკურთხეველზე მსხვერპლად დაწოლიყო.

ამ ტრაგიკულ სცენას, როდესაც სამრეკლოდან ზარებსა ჰხსნიდნენ და ზარბაზნებად აღნობდნენ, მხოლოდ მორატი უცქეროდა გულცივად. მორატი იშვიათი პიროვნებაა საფრანგეთის რევოლუციაში. გაბოროტებული, მაგრამ ფრიად ნიჭიერი და დაუღალავი პუბლიცისტი, იგი მხოლოდ ერთს პრინციპს ატარებდა ცხოვრებაში: მდიდრები უნდა მოისპონ. „ღარიბი იმ დრომდე ვერ ეღირსება განძლომას, ვიდრე კაცობრიობის მესამედი არ გაწყდება, ყველა მდიდარს არ ამოვჟლეტთო“. და აი, ამ საბედისწერო დამბაჩის დაცლის დროს, როდესაც კეთილ გონიერება მოითხოვდა შეერთებას, რათა სამშობლო განსაცდელისგან ეხსნათ, მან ათასობით გააკრა განცხადებანი: „აქედან არცერთი კაცი არ წავიდეს მტრის შესაჩერებლად, ვიდრე შინაური მტრები არ ამოიხოცებიან. ვინც წავა, იგი შინ დაბრუნებისას ვერ ნახავს ცოცხალს ვერც ცოლს და ვერც შვილს“. მუქარა სიტყვიერი არ ყოფილა. აუწერელი ჟლეტა შეიქმნა ყოველს კუთხეში. სისხლის კალო ვერ შეაჩერა თვით ეროვნულმა კრებამ. პარიზის ქუჩები წამოხეთქილი სისხლის ნიაღვრით ივსებოდა.

მართლაც, დიდი უნდა იყოს ერის ჯანსაღობა, მისი გენიოსობა, რომ ასეთს გლეჯა-ფლეთის დროს თავი არ დაეკარგა და კიდევ აღფრთოვანებული ყოფილიყო სამშობლოს სახსნელად. სწორედ იმ დროს, როდესაც პარიზის ქუჩებში ასეთი ამბები ჰხდებოდა, როდესაც მარატის სისხლიანი დანა დაუღალავად მუშაობდა, ხოლო მეორე დემაგოგი რობესპიერი პირადი ამაღლებისთვის ხალხს აქეზებდა საკანონმდებლო კრების დასახურავად და კონვენტის მოსაწვევად, ფრანგების ჯარებმა დიუმურიეს ხელმძღვანელობით პრუსიის ჯარები ვალმისთან სასტიკად დაამარცხეს და სამშობლო ქვეყანა იხსნეს განსაცდელისგან. გამარჯვება ამით არ დამთავრებულა: ავსტრიელები თავისი მხრით შეჩერებულ იქმნენ ჟემაპტთან, ამავე დროს კუსტენმა და უზარმა ალყა შემოარტყეს მაინცს, რომელმაც სულ მალე სამარცხვინოდ დაჰხარა ქედი. ასეთივე ბედი ეწვიათ ფრანკფურტს, ვორმს, შპეიერს და სხვა ქალაქებს. გათამამებულმა ფრანგებმა მალე თვით ძველი პრინციპიც კი დაივიწყეს, რომ ხმლით ყველა დამონებულ ქვეყნებში შეეტანათ თავისუფლება და აღფრთოვანებული იდეები. ეხლა მათ მახვილის წვერი დაპყრობით პოლიტიკას ემსახურებოდა: „ხალხის განთავისუფლების“ მოტრფიალე ერი ანგარებით ვეღარ თვრებოდა ასე ყოფილა ბედი ყოველი კეთილშობილური იდეისა, რომელიც გასამარჯვებლად წელზე ფარხმალს ჩამოიკიდებს.

ამ საზოგადო აღრეულობისა და ზარბაზნების ჰექა-გრგვინვის დროს ქვეყნის ფაქტიურ გამგედ რობესპიერი, დანტონი და მარატი იყო. იმ დროს, როდესაც ვალმისთან პრუსიის ჯარები სამარცხვინოდ დამარცხებულ იქმნენ, აქ, მათის მეოხებით დიდის ამბით გაიხსნა ეროვნული კონვენტი. ეს გახლდათ ყველაზე უკიდურესი, ყველაზე რევოლიუციონური ეროვნული კრება, რომლის მზგავსს არა თუ საფრანგეთის ისტორიაში, საზოგადოდ თითქმის არცერთი ქვეყნის რევოლუციის ხანაში არავინ უწყის. კონვენტის პირველი სიტყვა იყო საფრანგეთის რესპუბლიკის გამოცხადება (22 ენკ. 1732 წ.). კონვენტიც ერთგვარი დამფუძნებელი კრება იყო. როგორც მის წინად დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა კონსტიტუციურ მონარქიის საფუძვლები, ისე ამან რესპუბლიკანურს კონსტიტუციის შემუშავებას მიჰყო ხელი. კონვენტს წინ მრავალი რამ ჰქონდა გასაკეთებელი: წესიერების აღდგენა, მეფისა და მისი ოჯახის წევრთა გასამართლება, შემდეგ გარეშე მტერთა დამარცხება.

ყველაზე საშინელს მდგომარეობაში ყოფილი მეფე იყო, ლუი მეთექვსმეტე და მისი დედოფალი—მარია ანტუანეტა. იგი კარგად ჰხედავდა, რომ რევოლუციის მქევალი გახდა, ვეღარსად გაიქცეოდა, რომ მისი სიცოცხლე ეშაფოტისა და ტახტის შუა ბეწვის ხიდივით გადაება, რასაც წუთიდან წუთზე დამოკლეს ამართული მახვილი

განადგურებას უქადოდა. ხალხი, მართლაც, თხოულობდა მეფის გასამართლებას. რობესპიერის მოუსვენარა, ცივი, უსულგულო მოწაფე სენჟიუსტი ხომ ყველგან ტრიბუნობდა და ხალხს აქეზებდა—„მოითხოვეთ მეფის გასამართლება. იგი მარტო იმისთვის უნდა დაისაჯოს, რომ მეფე იყო, თქვენი სისხლის მწოველი ობობა. მაგრამ ხომ იცით, რომ ის არა თუ სისხლს გვწოვდა, გვღალატობდა კიდეც. მაგისთვის გილიოტინაც არა კმარა... სიკვდილი მეფეს!

სამართლიანი, მაგრამ მეტად უწყალო მსჯავრი სენჟიუსტისა შეწყნარებულ იქმნა კონვენტისაგან. მეფე სასამართლოს წინაშე წარმოადგენს. პროცესში გაიმარჯვა რობესპიერმა და სენჟიუსტმა, თუმცა მეფეს ისეთი ძლიერი დამცველი ჰყავდა, როგორიც იყო ცოლარას სიბრძნით შემოსილი ნამინისტრალი მოხუცი მალზერბი და მკვეთრი ორატორი ვერნიო. მეფეს სიკვდილი გადაუწყვიტეს 17 იანვარს, 1793 წ. მისი თხოვნისაებრ სამი დღე კიდევ აცალეს. მეფე ტამპლის ციხეში სამი დღის განმავლობაში ლოცულობდა, სასწაულს ელოდა, მაგრამ სასწაული არ მოხდა. იანვრის 21 სასტიკი ოქმი შესრულებულ იქმნა. სისხამ დილაზე ლუი მე-16-ე რევოლუციის მოედანზე მოიყვანეს, სადაც ამართული იყო შავი ეშაფოტი. ათ საათზე დაეშვა გილიოტინა. ათი წუთის შემდეგ ჯალათმა სისხლში შეთხვრილი თავი გადმოაგორა ხალხის წინა. აქამდე მდუმარე ხალხმა პირველად მაშინ ამოიღო ხმა და ერთსულოვნად დაიქუხა: „გაუმარჯოს ხალხს! გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ხალხის გრგვინვას საფრანგეთის მეფის მოკვეთილი თავიც ადასტურებდა: საფრანგეთისთვის მართლა ახალი ცხოვრება იწყებოდა...

დ. კახრაძე.

(დასასრული იქნება)

## საინგილო

ზაქათალის მაზრაში ინგილოთა რიცხვი დღეს არის მხოლოდ 14.000-მდე. წინად მეტი იყო, მაგრამ სრულიად გალეკდა ერთი ნაწილი, და დაივიწყა მამა-პაპური ენა. მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ. 1850 წლამდე ქრისტიანობდნენ ფარულად ლეკების შიშისა გამო, რომელნიც შაჰ-აბაზის დროიდან აქ ჩამოსახლდენ და გამძლავრდენ ჭარ-ბელაქანში. სწორედ იმავე დროიდან მაჰმადიანობამ დასცა ქრისტიანობა სახელოვან მესხეთშიაც. როგორც იქ, ისე აქ გაუქმდა უდიდებულესი საქრისტიანო ძეგლები, საოცრად აგებული საყდრები. მაგრამ მას აქეთ საინგილოში არ შეწყვეტილა ბრძოლა თვით-არსებობისთვის. ვერ შეაშინა ინგილოები ვერც უმეცარ მფლობელების მტარვალობამ, ვერც „გაბატონებულ“ ლეკების მუქარამ, დევნა-წამებამ. სჯულის, ენისა და ეროვნებისთვის გმირულად ომობდნენ. უშიშრად თავს სდებდენ, თავის ქრისტიანულ წესებს, თავის სალოცავებს არ ივიწყებდენ, ასრე მოაღწიეს 1850 წლამდე. ამ წლის ოქტომბრის 5-ს თბილისში ჩამოვიდენ და საქრისტიანო საქართველოს შემოუერთდენ უნათლავად, მაგრამ ქრისტიანად დარჩენილი ინგილოები: ივან-ბაბა ბულულაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, ალექსანდრე მურადაშვილი, გაბრ. ასანაშვილი, კოტე პირლიტაშვილი, ბედირ მურადაშვილი, დურში ალმასაშვილი და სიმონ ხალილაშვილი; შემდეგ ამათვე ჩაწოუყვანეს და აპრილის 7-ს 1851 წელს მონათლეს 37 ინგილო, მერე წაიყვანეს სამღვდელოება და მოაქციეს ინგილოთა უმრავლესობა, გახსნეს სამრევლოები კაკს, ალიბეგლოს, ყორაღანს, შოთავარს, მარსანს და სხ. მოლების ფანატიკოსობისა და სხვა და სხვა მიზეზების გამო მოქცეულების ნაწილი კვლავ გადადგა. დღეს ქრისტიანობს 5000 სულამდე და დანაშთენი კი მაჰმადის რჯულისაა. რა განსხვავებაა მაჰმადიან და ქრისტიან ინგილოთა შორის განათლებისა და თვით-ცნობიერების მხრივ?

60 წლის წინად საინგილოში არ იყო არც ერთი მონაზონი. მას შემდეგ ქრისტიან ინგილოებმა ბეჯითად იწყეს სწავლა. ათიოდე ახალგაზრდა სწავლობდა დედოფლის წყაროს სკოლაში და თბილისის სემინარიაში. მათგან სწავლა დაამთავრა მხოლოდ დიმიტრი ჯანაშვილმა (1865 წელს); ინგილოთათვის იგი შეიქმნა წარმატების პირველ მახარობლად. მას მოჰყვა შემდეგი თაობა მასწავლებელ ინგილოებისა და ამათ კი დღევანდელი ახალთაობა, რომელიც თვის შორის მარტო უმაღლეს სწავლა მიღებულთ 20-მდე პირს ითვლის, ხოლო სტუდენტებისა და საშუალო სასწავლებლების დასრულებითურთ 60-ზედაც მეტს. ბევრი ხანი არ არის, რაც საინგილოდან ილია ჭყონია მწერდა: მე მიხარიან და შენ კი, ეჭვი არ არის, ამაყობ, რომ შენმა სამშობლომ განათლების მხრივ გაუსწროს. ხონს გარდა, საქართველოს დანარჩენ კუთხეებსაო. რამდენიც აქ, თქვენში, კახმა გამოზარდა ინჟინერი, ექიმი, აგრონომი და, საზოგადოდ, უმაღლეს სწავლამიღებული, იმდენი იქ, ჩვენში, დაბა ხონმაო. ეს გაზვიადებად არ უნდა ჩაითვალოს მგონია. მასწავლებელთა პირველმავე თაობამ, მღვდლებმა და სხ. ისწრაფეს თავიანთ შვილების გამოზრდისათვის. დღეს მონაზონე ქრისტიან ინგილოთა, საშუალო და უმაღლეს სწავლა-მიღებულთა რიცხვი სჭარბობს 200-სს, და ეს სულ რაღაც 50—40 წლის განმავლობაში, ისიც 5000-მდე სულიდამ, უგზო-უკვლო და შორეულ მიყრდებულ კუთხიდამ! 1896 წელს საინგილოში უფრო მეტი ქართული ჟურნალ-გაზეთობა მოდიოდა, ვიდრე გორში ქართლისთვის და თელავში კახეთისთვის.

ეს რომ ასეა ერთ მუჭა ქრისტიან ინგილოთა შორის, იმავე დროს მაჰმადიან-ინგილოები ისევ უმეცრების მორევში იხრჩობიან: იქ არსადაა არა თუ უმაღლეს სწავლა-მიღებული, არამედ უბრალო მონაზონეც. ქრისტიან ინგილოებში რომ სამშობლო ქვეყნის, ღვიძლ ეროვნების და წინსვლა-წარმატების სიყვარული უაღრესად განვითარებულია, მაჰმადიან ინგილოებში მარტო იმას დაეძებენ, რომ როგორმე გადაგვარდნენ და ქართველები ქართველებს აღარ დაემსგავსნენ. თვითონ სიბნელისა და უმეცრების წყვდიადი ვერ მოუწმენდიათ თვალთაგან, რომ დაინახონ, რაოდენად უკან ჩამორჩნენ თავიანთ ქრისტიან მოძმეებს, და ზოგნი სცდილობენ ქრისტიანთა გამაჰმადიანებას. აქ დღემდის ვერ გაურჩევიათ, რა არის ერი და სჯული: ყველა აქაურ მაჰმადიანს თავისი თავი მოაქვს ერთ მაჰმადიან ნაციად. გამოდის, რომ ნაცია ყოფილა არა ჩამომავლობა, გვარ-ტომობა, არამედ იგეთი სარწმუნებრივი ჯგუფები, ვით ქრისტიანობა, ლიუტერანობა, გრიგორიანობა, მოსიანობა და სხ. აქაურ ჩვენ მოძმე მაჰმადიან ინგილოებს ავიწყდებათ, რომ სარწმუნოება ცვალებადია, ხოლო გვარ-ტომობა სისხლხორცზე ჩამოყალიბებული სიმკვიდრე. ბუშმენს გააქრისტიანებ, მაგრამ ვერ გააქართველებ. მისი ტუჩები, მისი ჯაგარი, იერი, ფერი, ყველა გიკარნახებთ მის არა ქართველობას. ამას გარდა წმიდა ყურანში არსად სწერია ვისიმე ძალად გამაჰმადიანება. რად უნდა დიდ წინასწარმეტყველ მაჰმადს ისეთი შვილი, რომელიც მის ტახტის წინ წარსდგება არა დამშვიდებულის სვინიდისით, არა მხიარულად, არა სიყვარულით. სიტკბოება და სიყვარული ჰქმნის ჭეშმარიტ რწმენას. თქვენ გწამთ და იყავით მტკიცედ თქვენს სარწმუნოებაზე მაგრამ ვერ გაგვიგია, რად უქცევთ ზურგს ღვიძლს გვარტომს, თქვენს საკუთარ ქართველობას. აგერ აჭარა-კლარჯეთშიაც ქართველები მაჰმადიანობენ, მაგრამ მაჰმადიანობა იმათ არ უშლის, რომ იყვნენ კარგი ქართველები. მაჰმადი სწამს ყველას, ლეკს, თათარს, ოსმალოს, სპარსს, ჩეჩენს, ჩერქეზს, ყირღიზს, ინდოელს, ბუხარელს, ავღანელს, ალბანელს და სხ., მაგრამ არც ერთი ამათგანი არ ივიწყებს თავის გვარ-ტომობას, თავის ენას, მამა-პაპათა გადმოცემებს. რაღა განსხვავებას შეადგენთ თქვენ, ჩვენი ღვიძლი მაჰმადიანი ინგილოები. ყველა გაგებულ კაცს და მით უმეტეს ქართველებს ეწვის გული, რომ ეგრე ჩამორჩენილი ხართ, უწიგნოთ, უცოდინრად იმყოფებით. მიჰბაძეთ თქვენს მოძმე ქრისტიან ინგილოებს, განათლდით სწავლით, გაიხარეთ ცოდნით, თვით-ცნობიერებით, თუ არა-და დარჩებით ლაჟაკად და გაითქვიფებით უმრავლესობის მორევში. ჩვენ თქვენი ქრისტიანობა კი არ გვინდა, არამედ თქვენი განათლება, თქვენი ცნობიერება. მაშ შეგვიყვარეთ, როგორც გვიყვარხართ.

მ. ჯანაშვილი.

## კორესპონდენცია

### პროვინციის ვითარება.

დ. საჩხერე. ჯერ იყო და ნიკოლოოზ მეორის რეჟიმმა გააჩანაგა ხალხის ცხოვრება.—მოეს წრო ახლად გადატრიალებულ დროს და ისეთი ამბები დატრიალდა, რომ... „სამართალს ვერ მიაგენიო“ შემომჩივლა ერთმა მოხუცმა.

მართლაც და თავისუფლებით აღფრთოვანებული ჩვენი სოფლელი იმის მოლოდინში არ იყო თუ მას პარტიული კინკლაობა ისეთ ბურუსში გაახვევდა, რომ დაუსრულებელ გამოურკვევლობამდე მიიყვანდა.

ხალხს უნდა კარგისა და ავის გასარჩევად ყველას დაუგდოს ყური, მაგრამ ვის მიმართოს არ იცის. მიტინგებზედ წარმოთქმული სიტყვებით განვითარებული ელემენტი უფრო მრავალია ჩვენში, ვიდრე პარტიულ ნიადაგზედ აღზრდილი შეგნებული პირები და აი კიდეც ცნა ფართეთა წრეში მოყოლილი ჩვენი გლეხობა საცაა გაირიყება, თუ შეგნებულმა დემოკრატიამ დროით შესაფერი წამალი არ აღმოუჩინია და შეგნება არ შეიტანა.

დ. ჭიათურაში მაისის 28-ს ბ. ტ. ჯაფარიძემ მოხსენება წაიკითხა ავტონომიაზედ და მცირე შესვენების შემდეგ კი მიწის საკითხს შეეხო. აღსანიშნავია მისი მკაფიო, გასაგები ენით ბაასი და შიგა შიგ ჩართული მაგალითები, რომელიც მსმენელის ყურადღებას იქცევდა: ხალხი ნასიამოვნები დარჩა. მოხსენების დროს იმდენად აიტაცა მოხსენებამ ერთი სოფლელი მუშა, რომ ორ ადგილას თვით ორატორის სათქმელი სიტყვები წარმოსთქვა, რითაც ბ. ჯაფარიძის მადლობა გამოიწვია. ყველა ამის შემდეგ ორმა ყმაწვილმა თავი შეურაცყოფილად იგრძნო და უკმაყოფილება განაცხადეს: „მაგათ ყოველ ნაირი კრება უნდა აუკრძალოთო. თუ პარტიულია კარ დაკეტილში იყვნენ თორემ ყველას რათ აძლევენ მოსმენის ნებასაო. ასეთი საქციელი ცხოვრებას არევს, ამას ვერ შეჰრიგებია ჩვენი გლეხობა და იგი ილარავის უჯერებს.

ჩვენსკენ არჩევნები უკვე დასრულდა წარსულ მაისში. ვერც ერთი საზოგადოება ვერ დაიკვეხნის, რომ გამგეთ მოწინავე ელემენტი ავირჩიეო. ამის მიზეზი კი ყველგან პარტიული ქიშპობაა.

ქორეთის საზოგადოება რომ არჩევნების უკმაყოფილოა, ეს ყველამ იცის. კრება შუა კვირაში, საქმე დღეს მოახდინეს. არჩევნების მნიშვნელობა ყველა მცხოვრებს სუსტად ესმოდათ და 1507 კომლისა მხოლოდ 700 ამომრჩეველი დაესწრო ე. ი. ერთი მეოთხედი ნაწილი ხალხისა—უფრო ნაკლებიც. კანდიდატების სიები ერთი ორი კაცის მიერ იყო შედგენილი. როცა კრებას ამ შეცდომებზედ უთითებდა ერთი წევრთაგანი, მეორემ მას სიტყვის თქმა აღარ აცალა და დაჰყვირასაც კი დაეშუქრა ჯერ კიდევ სიტყვა უთქმელ ორატორსა. ხალხი ორად გაიყო. უმეტესი ნაწილი სიტყვის განგრძობას ითხოვდა, თუ არა და არჩევნებს ბოიკოტსა გამოვუცხადებთო. მეორე ნაწილი კი ამბობდა არ გვინდა „ავტონომიაო“ და სხვა. ისე აირია საქმე, რომ ვინ უნდა გაეშავებინათ და ან გაეთეთრებინათ კენჭის მიმცემს დამრიგებელი აღარა ჰყავდა.

ქაცხის საზოგადოებაშიც იგივე განმეორდა რაც პირველში. საზოგადოებისათვის სასარგებლო პირები გააშავეს და გაიყვანეს სხვანი, რასაც სამართლიანად შენიშნავს გაზეთ „შრომაში“ მოთავსებული წერილით ი. კობახიძე, მაისის 29 გაზ. „შრომა“ № 11).

კორმოულის საზოგადოებაში ორი მასწავლებლის გაძევებაც კი ითხოვა რამდენიმე პირმა, იმის მიუხედავად, რომ იგინი ნდობით აღჭურვილნი არიან და სამართლიან მიმდინარეობას უჭერენ მხარს საზოგადოებაში.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მცირე შეცდომა არ არის. ის გარემოება, რომ საზოგადო მოღვაწის ადგილზე საშუალო თუ უმაღლეს სწავლით აღჭურვილი პირები არ ავირჩიოთ და მათ მაგიერ სრულიად უვიცი პირები გავათეთროთ.

აქეთ არც მილიციონერების კმაყოფილია ხალხი.

არ იქმნა და სანოვაგის ფასმა არ დაიკლო მიუხედავად იმისა, რომ საზოგადო ნიხრი შეიმუშავეს სანოვაგე ფართლეულობაზედ ფასებმა მაინც ვერ დაიკლეს. პური უკვე გამოილია. კაცი გირვანქა პურს ვერ იშოვის დაბა საჩხერეში. აქ ამ დღეებში იყო სურსათ სანოვაგის მომწესრიგებელი ბ. გეგეჭკორი და ფქვილს დაგვპირდა, მაგრამ ჯერ მოლოდინში ვართ.

აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს. დიდ იმედებს ამყარებს ხალხი პურისა და ღვინის მოსავალზედ. ავადმყოფობაც თითქმის მინელდა სოფლად. დ. საჩხერეში, ებრაელთა უბანში უცნაური სენი არსებობდა დღემდე, მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ ეს უცნაური ავადმყოფობა უკვე ისპობა.

გალაქტ. ქავთარაძე

—

## სამღვდელოების კრება

გორი. მაისის 2-ს, სოფელ კასპში დეკანოზ ივანე კაპანაძის თავმჯდომარეობით მოხდა გორის მაზრის პირველ სამღვთო კითილ მოწესის ქართველ სამღვდელოების კრება. კრებამ მოისმინა და დააკმაყოფილა მედავითნეთა ეკონომიური მოთხოვნილება სრულებით. თანახმად ამ დადგენილებისა მღვდელი მიიღებს 3 წილსა, მედავითნე 2-სა. შემდეგ კრებამ მოისმინა დროებითი ინსტრუქცია სამრევლო და საოლქო საბჭოთათვის და მართველობის განყოფილებათათვის. თანახმად ამ ინსტრუქციისა საოლქო საბჭო შესდგა 9 წევრისაგან ფარული კენჭის ყრით—საბჭოს თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა გორის სამების ეკლესიის დეკანოზი ლეონტი მცხვეთაძე, წევრებად: გორიჯვრის მღვდელი ნიკ. სამადაშვილი, გორის საკრებულო ტაძრის მღვდელი ალექსანდრე ტლაშაძე, იმავე ტაძრის დიაკონი ლ. კაპანაძე, გორის სამების მედავითნე ალ. ციცქიშვილი, გორიჯვრის მედავითნე ვ. ფურცელაძე და სამი წევრი არიან მრევლთაგანი: გორის მოქალაქე ალექსანდრე მიხეილის-ძე ციხითათრიშვილი, ს. ხიდისთავის მედ. სანდრო ოქუაშვილი და გორიჯვარში მცხოვრები ნ. მახარაშვილი.

მღვ. ალ. ტლაშაძე.

## წერილი რედ. მიმართ

### მცირე განმარტება.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად მთხოვნილი ვარ დამისტამბოთ შემდეგი ჩემი განმარტება იმ შენიშვნისა, რომელიც თქვენ პატივცემულ გაზეთ საქართველოში კვირის ნომერში ეწერა ბ-ნ ვ. ძირულელის კორესპონდენციაში; იქ ნათქვამი იყო, ვითომც უმეტეს ნაწილს აქაურ საზოგადოებისას ხელი შეეშალოს ჩემთვის პირველ დაწყებითის-უმაღლეს სამეურნეო განყოფილებიან სასწავლებლის დაარსებაში. ესეთი ხელის შეშლა საზოგადოებიდგან ჩემ წინაშე არ ყოფილა. ერთი-ორიოდე პირმა თუ თავი წამოჰყო და საწინააღმდეგო რამე მითხრეს ისინი უშვილონი არიან—და სკოლები მათთვის საინტერესო არ არის. საზოგადოების უმეტესობა მხარს მიჭერს და კარგათაც ესმის სკოლის მნიშვნელობა. ყოველივე საკითხი ესეთი სკოლის დაარსებისა—ჩემ მიერ მოხსენებული იქნება ოლქის ახალ მზრუნველთა წინაშე,—ოლქის ძველმა სამოსწავლო მზრუნველმა ამ საქმეში ვერ მომცა ჯეროვანი დახმარება და, ამისა გამო საქმე დღემდე შეფერხებული დამირჩა.

რაიცა შეეხება აქაურ სამკითხველოს, როგორც იგივე ვ. ძირულელი—სწერს, ვითომც აქაური სამკითხველო ცუდად იყოს მოწყობილი, დანამდვილებით—ვიცი, რომ ესეც სინამდვილეს არ ეთანხმება, რადგანაც სამკითხველო ბიბლიოთეკას სათავეში უდგას განვითარებული ახალგაზრდა პირი—ბ. დავით აბრახაძე. იგივე პირი მდივანია სასოფლო საზოგადოების ბანკისა და აგრეთვე კომიტეტების წევრთა დღევანდელ მართვა-გამგეობისა. თუ რაიმე ეჭვი აქვს ბ. ვ. ძირულელს სამკითხველოზედ—რევიზია მოახდინოს წევრების თანადასწრებით და ყოველივე სიმართლეს მაშინ დაინახავს.

მეთოდი ქათამაძე.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 8, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.37 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 3, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |

**თბილისში შემოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 | დილ. |

გამოცემა ქნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა
ნ. ბარათაშვილის ლექსები
და წერილები
სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.
გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისად აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:
ხ. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.
გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.
წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.
წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50).
სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.
(10—555—14)

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
ცელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსავლელი დავითის ქ. № 2.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—39)

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისათვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს აათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—21

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და ხმარონ მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდნენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია


ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი“
მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე
—სუნი და გემოც საამური აქვს—
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. მამულოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. [illegible]